წელიწადი პირველი    ფასი 5 კაპ.    ხუთშაბათი, 12 გიორგობისთვე 1915 წ.    № 141

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით [illegible] უკანასკნელზე—[illegible] განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მანეთი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.


## საქართველოს კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ნოემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 1 მან.—60 კაპ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“ Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვათ.

## პროვინციელ აგენტების საყურადღებოდ

აცხადებს გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია, რომ პირველ ოქტომბრიდან გაზეთი „საქართველო“ გადაეცა კანტორა „განათლებას“. თუ რომელიმე აგენტს, რამდენი სჭირია ხსენებული გაზეთი, დაუყოვნებლივ აცნობოს კანტორა „განათლებას“.

„საქართველოს“ რედაქცია.

## სახალხო სახლი (კ. ზუბალაშვილის სახელობისა)

პარასკევს, 13 ნოემბერს 1915 წ. ✦ ✦ სეზონის გასახსნელად

ქართული დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ვ. შალიკაშვილის 4 მოქ. პიესა

### გადაჭრილი მუხა

მონაწილეობს მთელი დასი ✦ ✦ ✦ დასაწყისი საღამოს 8 საათზედ

ადგილების ფასი სამი შაურიდან მანათ ნახევრამდე

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია ორშაბათს 16 ნოემბერს.

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.    ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგად. მორიგი წევრი გამგეობისა ნ. ერისთავი.

ხილეული, მადნეული და სამკურნალო წყლის

ქარხნები

### მ. ე. ლალიძე და ამხ.

თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების საყურადღებოდ!

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: **სვან ყოველთვის მხოლოდ და მარტო მიტროფანე ლალიძის და ამხანაგობის ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის სამკურნალო წყალი. მხოლოდ ლალიძის წყალი** მზადდება უმაღლესი **ღირსების ბუნებრივი** მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, **მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი ლალიძის წყალი,** გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

### გადაწერას საწერ მანქანის საშუალებით და საწერ მანქანაზე

მუშაობის სწავლებას ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს

### ი. თ. გვათუას კანტორა

✦ ვერის დაღმართი № 1 ✦

ტელეფონი 17—05

ქ. გორში

**ექიმი** ნ. მ. კლიმიაშვილი იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

კბილის ექიმმა

### მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

კბილის ექიმი

### ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

დაიკარგა **პასპორტი,**

იოსებ ნიკოლოზის ძის ჩიკვაიძისა, 1918 წლამდის მიცემული. მპოვნელს უმორჩილესად ვთხოვთ ამ ადრესით დაგვიბრუნოს: Тифлисъ Гунибская ул. № 37.—ან რედაქციაში მიიტანოს.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

### კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

### ახალი აფთიაქი

✦ პროვიზორის ახვლედიანისა ✦

ექიმი

### გ. მ. მუხაძე

იღებს დოსტაქარი ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

### მ. დ. წინამძღვრიშვილი

**ყ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ახლად გახსნილს ინტელიგენტურს სასადილო

## „პეტროგრად“-ში

კრუზენშტეინის ქუჩაზე, „Тифл. Листок“-ის რედაქციის პირდაპირ

✦ მზადდება ყოველნაირი ✦

### ევროპიული და აზიური საჭმელები

ძრიელ ხელმისაწდომ ფასებში: 2 თავი 50 კ. ხოლო სამი თავი 65 კაპ. თვიურად ფასდაკლებით, ე. ი. 2 თავი—13 მან., 3 თავი—16 მან.

შეიძლება ვახშმის [illegible].

პატივისცემით **ხ. კახეთელიძე და გ. არჩვაძე.**

25—7


# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**პეტროგრადი,** 10 გიორგობისთვე. ოფიციალი. დასავლეთის ფრონტში. დვინსკის ფრონტზე, სვენტის ტბის ჩრდილოეთით რუსებმა აიღეს გერმანელთა წინა თხრილების ერთი სანგარი. დვინსკის სამხრეთ-დასავლეთით გერმანელები შეეცადნენ იერიშით წამოსულიყვნენ მდ. ლავკესის გასწვრივ, მაგრამ რუსები ერთსულოვან სროლით შეეგებნენ და შეაჩერეს. მდგომარეობა დანარჩენ ფრონტზე რიგის ყურიდან მოყოლებული პრიპიატამდე უცვლელია. შუა სტირის ნაპირებზე რუსის ჯარებმა იერიში მიიტანეს სოფ. კოზლინიჩთან მდგარ მტრის რაზმებზე. მტერი ზოგი გაიქცა, ზოგი კიდევ ამოხოცილ იქმნა. 117 ჯარის-კაცი ტყვედ წამოიყვანეს ორი ოფიცრითურთ და ერთი ტყვიის მფრქვეველით, 170 თოფით.

გალიციაში მდ. სტრიპის აღმოსავლეთ ნაპირზე მტერმა იერიში მოიტანა სოფ. ხმელევასთან. მაგრამ მალე შეჩერებულ იქმნენ რუსთა ცეცხლის მიერ.

**კავკასიის ფრონტი.** მთელს ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია. პასინის ველეში რუსმა მფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს მტრის სანგრებში.

10 გიორგობისთვე.

**ბელგეთში.**

**ჰავრი.** ნისლიანი ამინდია. ზარბაზნების სუსტი სროლა იყო.

**სპარსეთში.**

**თეირანი.** თეირანიდან სამხრეთ-სპარსეთსა და ინდოეთისაკენ მიმავალი ტელეგრაფი კუმის გზაზე მტერმა ჩაიგდო ხელში. ბუშირიდან, სამი დღით დაგვიანებული დეპეშის ცნობით, შირაზში მყოფი ინგლისის კონსული და ინგლისელთა მთელი ახალშენი დაუტყვევებიათ.

რუსეთ-ინგლისის მომხრე პრინცი აგბერ-მირზა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად დაინიშნა სულეიმანხანის ნაცვლად, რომელიც მოპირდაპირეებს გაჰყვა თეირანიდან.

**გემების დაღუპვა.**

**ლონდონი.** ინგლისის გემები „მერგანზერ“-ი და „ზელანდშერ“-ი დაღუპეს. მეზღვაურნი გადაარჩინეს.

**სერბეთში.**

**ლონდონი.** სალონკიდან იტყობინებიან: მონასტირში 5 გიორგობისთვეს მდგომარეობა გამოკეთდა, რადგანაც ბულგარელები პრილეპიდან წავიდნენ. სერბეთის ცხენოსანმა ჯარმა ბაბუნისკენ წაიწია და იქ ბულგარელები ვეღარ ნახა.

**რომი.** 9 გიორგობისთვეს ტიროლ-ტრენტინის ფრონტზე და კორნიაში საარტილერიო სროლა იყო. მტრის არტილერია განაგრძობდა ვომელივოს ლელეში დაბა დასოლედოს ნგრევას, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ ჩააჩუმა იგი. მდ. იზონცოზე გუშინ სასტიკი ბრძოლა მოხდა. მტერი სცდილობდა იერიშით დაებრუნებინა დაკარგული ადგილები. ამიტომ საარტილერიო ცეცხლი უკიდურესად გაამძვინვარეს. რამდენჯერმეკიდეც მიაღწია მიზანს, ყუმბარები დაუშინა გვერდ-გვერდა პოზიციებს. მაგრამ ჩვენც ჩვენის მხრით კონტრიერიშებით არ უსვენებდით. ტყვედ წამოვიყვანეთ 89 კაცი. კარსოზე ჩვენ მოვიგერიეთ მტრის 4 იერიში. დილით კონტრიერიშებით შეუტიეთ და საგრძნობლად გავიმარჯვეთ. ტყვედ წამოვიყვანეთ 202 კაცი. დავლად ტყვიის მფრქვეველი და ტყვიები დაგვრჩა.

**მთაშავეთი.**

**ცეტინიე.** მტერი ამაოდ ცდილობდა ენერგიული იერიშებით დაეჩაგრა ჩვენი ჯარები და ხელი შეეშალა ჩვენთვის ახალ პოზიციებზე დასახევად, მაგრამ ვერას გახდა. საზოგადოდ მთელ ფრონტზე ეხლაც საარტილერიო ბრძოლაა გაჩაღებული.

**პარიზი.** არსებითი ცვლილება არსად მომხდარა. 9 გიორგობისთვეს ჩვენი მფრინავები სხვა და სხვა ადგილას შეებრძოლნენ მტრისას. შამპანში არგონის ტყესთან ხუთჯერ შეეტაკნენ ერთმანეთს. 3 მფრინავი სწრაფად გაბრუნდა უკან. მეოთხეს აპარატი გაუფუჭდა და ჩამოეშვა, მეხუთეს ცეცხლი მოედო და დაიწვა.

**პეტროგრადი.** დადგენილია ლიკვიდაცია მიხდეს სანაოსნო ამხანაგობისა „ბალტიის ლოიდი“, როგორც გერმანელთა კომპანიის კუთვნილებისა.

**საფრანგეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** საღამოს ოფიც. ცნობა. არტუასა და შამპანში ზარბაზნებით ბრძოლა გრძელდება. არგონებში ნაღმებით ბრძოლაა. ელზასში ცხარე ბრძოლაა ზარბაზნებით გარტმან-რვეილერკოპთან და ფიგოლცის მიდამოებში.

**ბალკანეთის ასპარეზი.**

**პარიზი** 6 გიორგობისთვე. ბულგარელების იერიში მრზნუსა და ცრნის მარცხენა ნაპირას მოიგერიეს. 7 გიორ. მდ. რაეკზე (ცრნის ტოტია) ბრძოლა განახლდა. სტრუმიცასთან სიწყნარეა. დარდანელში 9 გიორგობისთვემდე მიწის ქვეშ ნაღმებით იყო ბრძოლა. ინგლისელებმა 2 გიორგ. აიღეს ოსმალების ერთი სანგარი და ყუმბარების ერთი საწყობი. მოპირდაპირემ უნაყოფოდ სცადა სამაგიერო იერიშის მოტანა.

**სპარსეთში.**

**თეირანი.** თეირან-კუმის შუა ტელეგრაფი მუშაობს. ჟანდარმთა ინსტრუქტორი გელსტრენი სამსახურიდან გადადგა. შირაზში მყოფი ინგლისის კონსული დე-კონორი, 5 ინგლისელთ და 10 სპარსთ ჟანდარმებს მთებში წაუყვანიათ, ვითომც იმის გამო, რომ რუსეთ-სპარსეთ-ინგლისის ომი დაიწყოვო. თეირანში ბახტიარები დიდ დიდ ჯგუფებად მოდიან.

**თეირანი.** ჟანდარმები და გერმანელების დაქირავებული რამდენიმე ასი კაცი 9 გიორგობისთვეს ჰამადანზე დაეცნენ. ოხკინში სპარსელთა ყაზახების მცირე რაზმმა ვერ გაუძლეს. ჰამადანში მტერი არ შესულა. სპარსეთის ყაზახთა შორის მძიმედ დაჭრილებიცაა. რუსებისა და ინგლისელების ახალშენი უვნებლად გადარჩა. თეირან-ინდოეთის შემაერთებელი ტელეგრაფი აღადგინეს.

**რუმინეთში.**

**კოპენჰაგენი.** „ნეიე-ფრეიე-პრესსე“-ს სოფიიდან ატყობინებენ: ავსტრეთის მეფემ ბულგარეთს ძღვნად გაუგზავნა ერთი სანიტარული მატარებელი, რომელიც რუმინეთში გააჩერეს. სასანიტარო მასალის უმეტესი ნაწილი რუმინეთმა დაიტოვა. „ბერლინელ-ტაგებლატის“ ცნობით, რუმინეთმა ბევრი სხვა საქონელი დაატყვევა, რაც სოფიაში გულის წყრომას იწვევს.

**საფრანგეთი და შვეცია.**

**პარიზი.** პუანკარემ სადარბაზოდ მიიღო შვეციის მისია და ხანგრძლივ ესაუბრა მათ.

**საფრანგეთის ასპარეზი.**

**ლონდონი,** 10 გიორგობისთვე. ფელდმარშალი ფრენჩი იუწყება: 4 დღის განმავლობაში გამწვავებული საარტილერიო სროლა იყო. ჩვენ მარჯვედ ვუპასუხებდით. განსაკუთრებით მტერი ცხოველმოქმედებას იჩენდა ლოოსის ჩრდილოეთით და არმონციესა და იპრის აღმოსავლეთით. 6 გიორგობისთვეს მტრის ჰაეროპლანი დაეშვა ჩვენს ხაზზე. მფრინავი და მზვერავი ტყვედ წამოვიყვანეთ. აპარატი უვნებლად ჩაგვივარდა ხელში.

**სერბეთში.**

**ბუქარესტი,** 9 გიორგობისთვე. ბულგარეთის გაზეთში იუწყებიან, რომ ორშოვასა და სუშჩუკის შუა ავსტრიელთა ხომალდები თავისუფლად მიმოსცურავენო. რაც შეეხება საბერძნეთს, ამის შესახებ გაზეთები დასძენენ, დენი-კოშენის სტუმრობამ დაამტკიცა, რომ საბერძნეთის სიმპატია საფრანგეთისკენ არის. მაგრამ ხალხის მისალმება მეორე ხარისხოვან როლს ასრულებს. ჯერჯერობით ძალა სწყვეტს ყოველისფერს. ინგლის-საფრანგეთის მახვილმა, მართალია, თავის სიმძიმე აგრძნობინა, მაგრამ ოდნავ შესამჩნევია იგი, თავისით მინელდა სადიპლომატო კანცელარიებში. ვიდრე მოკავშირეთა გარდამწყვეტი იერიშის საათი არ დაჰკრავს, მანამდე ბალკანეთის საზოგადო პოლიტიკური მდგომარეობა ოდნავაც არ შეიცვლება.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**მთაშავეთი.**

ავსტრიის სამი არმია ლაშქრობს დღეს მთაშავეთის წინააღმდეგ. ერთი არმია, ოცი ათასი მეომრისაგან შემდგარი მთაშავეთის სამხრეთში მოქმედობს, ზედ ადრიატიკის ზღვაზე, კატაროში ეს არმია ცდილობს ლოვჩენის ხეობის დაჭერას. ამ არმიას დიდ სამსახურს უწევს კატაროს კარგათ გამაგრებული ფორტები და ტიხტაბუხტაში მდგომი გემები.

ლოვჩინის ხეობის დაჭერით ავსტრიას სურს მთაშავეთი მოსჭრას ზღვას, მოუსპოს ყოველი საშუალება იტალეთთან ურთიერთობისა და თითონ კი ალბანეთს ხელი გადაუწოდოს. ამ მიზნის მისაღწევად ავსტრიელები თავგამოდებით იბრძვიან ზედიზედ რამოდენიმე იერიში მიიტანეს. ყველაზედ უფრო ფიცხელი და ულმობელი იერიში 28 ღვინობისთვეს მოხდა. ადგილმდებარეობა ხელს უშლის გაშლილ ბრძოლას და არტილერიის ხმარებას, ამიტომაც ავსტრიელები აქ ვერას გახდნენ. მაშინ ამ არმიის ერთი ნაწილი შეეცადა გრახოვოთ შეჭრილიყო ალბანეთს. ამ ჯარის საშველად გამოეშურა მეორე არმიაც, რომელიც შესდგება 20—25 ათასი ჯარისკაცისაგან. ეს არმია გამოემართა გაცკო-ბელეჩით.

მესამე არმია გამოვიდა სარაევოდან და ბოსნიით ვიშეგრადზე და პლევლიეზე გამოეშურა. ეს არმია პირველებზე გაცილებით ძლიერია, იგი შესდგება 50,000 კაცისაგან.

მდინარე დრინაზე გარაჯსა და ვიმეგისთან იგი შეხვდა მთაშაველებს და შეუპოვარი ბრძოლა სწარმოებს. აქ მთაშაველები ვერ უმკლავდებიან და თან და თან პოზიციებს ჰკარგავენ. ავსტრიელები საცაა გაარღვევენ მთაშაველების ფრონტს და შეუერთდებიან ბულგარების ჯარს, რომელსაც მაჯაროვი სარდლობს. ამით სერბეთს მოესპობა საშუალება მთაშავეთს თავი შეაფაროს.

**ალბანეთი.**

ალბანეთის დამოუკიდებელი სახე შექმნა ავსტრია-უნგრეთის დიპლომატიამ ამ სამიოდე წლის წინად, როდესაც ბალკანეთის მდგომარეობა საერთოდ რყევას განიცდიდა. როდესაც ბალკანეთის ყოველი სახელმწიფო ახალ საზღვრების დადებას ცდილობდა. ალბანეთს მეფეც კი უწყალობეს, მწუხარ მოსაგონარი პრინცი ვიდი, რომელსაც ბედმა მალე უღალატა და იძულებული შეიქმნა ალბანეთს განშორებოდა. ფაქტიურად ალბანეთი ავსტრიის ხელქვეითი არის, ყოველ მის ბრძანებას ემორჩილება და მის მიზნებს ემსახურება. დღეს ალბანეთი სავსეა გერმანელ და ავსტრიელ აგენტებით, რომლებიც ალბანელებს წვრთვნიან და რაზმავენ. მათი მიზანია ალბანელები მთაშაველთა და სერბებს შეუსიონ.

**საფრანგეთი**

**სამხედრო ბჭობა**

პარიზში მოხდა პირველი შეერთებული სამხედრო ბჭობა ინგლის-საფრანგეთისა. ინგლისის მინისტრებს მეთაურობდა მათი პრემიერი ასკვიტი. განიხილეს მთავარი საკითხები ინგლის-საფრანგეთის ჯართა შეერთებული მოქმედებისა. ყველა დადგენილება ერთხმად იქმნა მიღებული. ინგლისის საზღვაო მინისტრმა არტურ ბალფურმა და ინგლისის საადმირალოს პირველმა ლორდმა, ადმირალმა ჯექსონმა ინახულეს საფრანგეთის საზღვაო სამინისტრო და ხანგრძლივი საუბარი გამართეს საფრანგეთის საზღვაო მინისტრებთან, ადმირალ ლაკაზთან და საფრანგეთის საზღვაო შტაბის უფროსთან, ადმირალ ჟონკერთომთან. მოხდა სრული შეთანხმება საფრანგეთსა და ინგლისის ფლოტის შეერთებული მოქმედების შესახებ არა მარტო ბრძოლის ოპერაციების დროს, არამედ სამხედრო ტრანსპორტების დასაცავადაც.

**სერბეთი**

**კევესის არმიის წინსვლა**

ავსტრიელთა ჯარმა იავორის მიდამოების პოზიციები დაიჭირა. კევესის ჯარის მარჯვენა ფრთა გამოვიდა მთების იწრულიდან და მიუახლოვდა რაშკას, რომელიც ახალ-ბაზარის მახლობლად არის. კურმუბლიეს ალება ძვირად დაუჯდათ ავსტრიელებს. ყოველი სახლი იერიშით აიღეს. ვინც გადურჩა ავსტრიელების ხიშტსა და ტყვიას, იმათ მახლობელ ტყეს შეაფარეს თავი.

**შვეცია.**

კაიზერმა სტოკჰოლმში გამოგზავნა პრინცი მაქსი ბადენისა და ჰერცოგი მეკლენბურგისა. ხსენებულ პირთ ძიხდობილი აქვთ ზავის ზოგიერთა საკითხის განხილვა. პეტროგრადში კი ირწმუნებიან, რომ პრინცი ბადენისა და ჰერცოგი მეკლენბურგის სტოკჰოლმს ჩამოსვლას კავშირი აქვს მხოლოდ ტყვეთა მდგომარეობის გამორკვევასთან.

**კავკასია.**

**დადალუგიადუკის უღელტეხილი**

ერთი კვირის წინ ძლიერი შეტაკება მოუვიდათ რუსებსა და შეერთებულ ოსმალებ-ქურთებს დადალუგიადუკის უღელტეხილის რაიონში, არჯიმის ჩრდილო დასავლეთით. მკაცრი ბრძოლა დილიდან საღამომდე არ შეწყვეტილა. ღამე მოპირდაპირენი ჯგუფ-ჯგუფად დაიყვნენ და ხიშტებით ეძგერნენ ერთმანეთს. ოსმალები და ქურთები დიდხანს უმკლავდებოდნენ რუსებს, მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქმნენ ცოტა დაწეულიყვნენ და მდინარე ზელანდერეს ამოფარებოდნენ.

**გერმანელების დახასიათება.**

ბ-ნი პეტროვი „რუსკოე სლოვოში“ სწერს: უნდა აღვნიშნო და მრავალჯერაც აღვნიშნო გერმანელთა ბრძოლის ხაზის გასაოცარი მოქნილობა და მოძრაობა. უნდა მოვიხსენო და ბევრჯელაც მოვიხსენეო განსაცვიფრებელი სისწრაფე სამარ ხერხისა და ღონისძიებათა შეცვლისა. თითქოს მიწიდან ამოძვრენო, ისე სწრაფად გაჩნდებიან 20, 30, 50 ვერსის სიშორიდან. ვსთქვათ რუსებმა გაიმარჯვეს, აიღეს ბრძოლის პირველი ხაზი, მას მიაყოლეს მეორეც და მესამეც და მიაღწიეს უკანასკნელ უმწეო რიგამდე რომლის იქით ერთი ჯარისკაცი არ სდგას გერმანელებისა. საცაა რუსები თავისუფლად გაინავარდებენ მტრებზე და სათითაოდ ამოხოცვენ უმწეო ჯარებსო, გაიფიქრებს კაცი რომ უცბად, თითქოს ციდან ჩამოცვივდენო, ბათალიონი-ბათალიონზე მორბის და მერე როგორი ჯარები,—სულ რჩეულები. თავ-თავის ადგილზე. გერმანული ჯარის ყოველი მებრძოლი ნაწილი ისე კარგად მოქმედობს, ვით დახელოვნებული პიანისტი როიალის კლავიშებზე.

გერმანელები დიდის წესით აწარმოებენ ჯარების გადარჩევას. ისინი ჯარების გაცვლა-გამოცვლას მაშინაც კი ახდენენ, როდესაც მათ ტყვია-ყუმბარას თავზე აყრიან. თოფის მსროლელათ მათ პირველ რიგზე უდგათ საუკეთესო ჯარის ნაწილები, რჩეული

ეგერის პოლკები, ხოლო თუ რუსები ხიშთზე გადვიდენ ისინი ეგერებს ბრძოლის მეორე ხაზზე გადაგზავნიან და მეორე ხაზიდან პირველზედ ჯარის სხვა ნაწილს გადმოიყვანენ. საცა შეიძლება. ისინი ყოველ პატრონას ზოგავენ. საცა საჭიროა, ისინი დაუფიქრებლად სიკვდილს ეშურებიან ასობით, ათასობით, ათი-ათასობითო...

**ჩარტორისკი**

გერმანელებმა აქ თავიანთი იერიშები გაახშირეს და გაამძაფრეს. სურთ თავი დაახწიონ ამ ჭაობიან-ადგილებს, სადაც კაცი, ურემი თუ ცხენი, ყველაფერი იფლება. აქამდე მშრალი ამინდის გამო ამ უხერხულობას ადგილი არა ჰქონდა, ეხლა კი ეს მეტად საგრძნობელია და დიდად შემაფერხებელი სამხედრო მოქმედებისათვის. გერმანელები იძულებულნი არიან ან დაიძრან ამ ადგილიდან, ან წინ წაიწიონ და რუსებზე იერიში მიიტანონ. გერმანელებმა უკანასკნელი არჩიეს. (რ. ს.)

**მისვლა-მოსვლა გერმანეთსა და ოსმალეთს შორის.**

გერმანეთში ყოველ დღე მოდის პურის ფქვილით დატვირთული ვაგონები. დრეზდეიში, ეს ფქვილი გემებსა და ხომალდებზე გადააქვთ. მდინარე ელბით ეს დატვირთული გემებ-ხომალდები ფქვილს აწვდიან შიდა გერმანეთის რაიონებს. სამაგიეროთ ბულგარეთში და ბულგარეთით ოსმალეთში გერმანიიდან აუარებელი სამხედრო მასალა და ზარბაზანი იგზავნება. სტამბოლში ჩამოიტანეს გერმანეთის დიდი მძიმე ზარბაზნები დარდანელის სიმაგრეებისათვის.

**ოლტიჩაის რაიონში**

ამ ერთი კვირის წინ ოლთისის მიმართულებით ოლტიჩაის რაიონში ოსმალთა მრავალ-რიცხოვანი მზვერავი რაზმი თავს წაადგა რუსის ჯარს და ხშირი სროლა აუტეხა. ორთავე მხარეს საგრძნობელი ზარალი მოუვიდა.

**რიგა-დვინი.**

გ. პეტროვი „რ. ს.“ სწერს: რიგის გარშემო და დვინის მიდამოებში ვერც რუსები და ვერც გერმანელები მთელის ხაზით შეტევას ვერ მოახერხებენ. აქ მეტ წილად ჭაობებია, აქა-იქ გაფანტული და ადგილ-ადგილ ძალაუნებულად სწყვეტენ ჯარის მიერ გაბმულ ბრძოლის ხაზს. აქ მხოლოდ შეიძლება ამა თუ იმ მხარემ რომელიმე ადგილას ჯარის პირი გაარღვიოს.

**გემის დაღუპვა.**

ხმელთაშუა ზღვაში გერმანელთა „უმბარინამ“ დაღუპა ინგლისის გემი. შემადგენლობიდან გადაარჩინეს 20 კაცი. 60 დაიღუპა.

**ჯარისკაცების მოგროვება.**

„Daily News“-ის ცნობით გერმანელი აგენტები დაიარებიან შვეციის დაბა-სოფლებში და აგროვებენ მოხალისეებს გერმანეთის ჯარისთვის. ამავე გაზეთის ცნობით დიდძალი შვედი დაფინი წასულა კიდეც გერმანეთში ჯარში ჩასაწერად.

**საითკენ წავა რუმინეთი.**

დღეს რუმინეთი იმგვარსავე მდგომარეობაშია, რა მდგომარეობაშიაც იყო ბულგარეთი, ბრძოლის ველზე გამოსვლის წინა დღეებში. ბუქარესტის გერმანოფილური წრეები სოფიის გერმანოფილობაზე უფრო შორს მიდიან. ავსტრია-გერმანეთის მხედართ-მთავრები თავისუფლად მართვენ რუმინეთის საზღვრების სამზირო ბაზებს, სერბეთის ჯარების მოძრაობის დასაზვერავად.

ოფიციალი რუმინეთი აშკარად გერმანეთის მხარეზეა. საბედისწერო ზარი ჩამოჰკრავს თუ არა, არა-ოფიციალი რუმინეთიც იძულებით მთავრობას გაჰყვება. რუმინეთი დღესვე ემზადება და რა საჭიროა თავის მოტყუილება. მალე ფერდინანდ ჰოჰენცოლერნი გამოამჟღავნებს თავის „ნეიტრალობის“ ნამდვილ სახეს.

ბავშური გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრნა, რუმინეთი თავის ტერიტორიაზე რუსის ჯარებს გაატარებსო, როდესაც იგივე რუმინეთი საჯაროდ უმართავს მაკენზენებსა და ფიურსტენბერგებს პატივსაცემ დღესასწაულებს სერბებზე გამარჯვებისთვისო.

(უ. რ.)

## უკანასკნელი ფოსტა

**რუსეთის ფრონტი.**

რუსეთის ფრონტზე არაჩვეულებრივი სიწყნარე ჩამოვარდა. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ გერმანელებმა მეტი წილი ჯარებისა ახლა ბალკანეთში გადაიყვანეს, მეორეც ისაა მიზეზი, რომ არმიისთვის სურსათს რუსეთში ადვილად ვერ შოულობენ და ბაზიდან ძრიელ დაშორებული არიანო.

**საბერძნეთი მოლბა.**

საბერძნეთს მოლბობა ეტყობა მას აქეთ, რაც მოკავშირეებმა ძალა დაანახვეს. ახლო მომავალში ელიან დასაკმაყოფილებელ პასუხს.

**შავი ჭირი.**

რუსული გაზეთები იუწყებიან, ვითომც გერმანელთა ჯარებში შავი ჭირი გაჩენილიყოს. ავადმყოფთა მეტი ნაწილი სულ ამ სენის მსხვერპლი ხდებიანო.

**საავარაკოების რეკვიზიცია.**

ამ დღეებში მოხდება გერმანელთა და ავსტრიელთა საავარაკოების რეკვიზიცია. საავარაკოები გადაეცემა რუსის სამხედრო უწყების განკარგულებას.

[illegible]

## ბრძოლის ველზე

[illegible]

მეგრი.

[illegible]

და ართვინის „ოკრუგები“, რომელთა მკვიდრებს არ დაჰკლებიათ ამ ქვეყნიური არც ერთი ვაი-უბედურება, სრულიად უყურადღებოდ იქმნა დატოვებული, ისეთ დიდ საზოგადოებრივ ორგანიზაციისაგან, როგორიცაა კავკასიის განყოფილება სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირისა. ამ განყოფილების ხელში მრავალ მილიონმა მანეთმა ისე გაიარა რომ აოხრებულ ბათომის ოლქის მკვიდრებს ერთი გროშიც არა ჰრგებიათ. რომ დიდი მთავრის სათანადო განკარგულება არა, შეიძლებოდა, ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილებას არც ეხლა მოჰგონებოდა ბათომის ოლქის არსებობა. ასეთი დიდი მარცხის ასაცილებლად საჭიროა, რომ ყოველი მაზრის და სამამასახლისოს გაჭირვება და ვარამი ადგილობრივ იქმნას შესწავლილი და გამორკვეული. დღევანდელი თათბირის წევრები ასეთ საეტიუდო ორგანიზაციის ერთეულებიდან არ გამოსულან, ისინი დაშორებული არიან გაჭირვების ნამდვილ ცოდნას. ასეთი გარემოება დიდ პასუხისგებაში აგდებს ყველას, ვისაც გამართულ თათბირზე უხდება თავისი ქვეყნისა და ხალხის ჭირვარამის დასურათხატება. კერძოდ, თათბირის ქართველი წევრები ვალდებულნი არიან შეჰკრიბონ საჭირო ცნობები, მიმართონ სახელდახელოდ სათანადო დაწესებულებათ რედაქციებს, თუ კერძო მცოდნე პირებს.

მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, მოწვეული თათბირი მაინც დიდ სამსახურს გაუწევს ქვეყანას, რადგანაც სანოვაგის უქონლობა, შიმშილობა, მოუსავლობა და საერთო ეკონომიური კრიზისი თათბირის არც ერთ წევრისთვის საკამათო საკითხს არ შეადგენს. რომ ქვეყანას შველა უნდა, ამაში ყველა დარწმუნებულია და ამ საერთო შეგნების ნიადაგზე წარმოებული მუშაობა, რომელსაც თვით მეფის ნაცვალი ხელმძღვანელობს, ქვეყანას პირველ შველას მისცემს. უფრო უნაკლულო თათბირის მოწყობამდე, ესეც დიდი საქმე იქნება.

## ახალი ამბავი

**კავ. სახ. სამ. საზ. საბჭომ** 10 გიორგობისთვეს დაადგინა: 1) საზოგადოების მდივნის თანამდებობის აღსრულება დროებით მიენდოს ბ-ნს ფირუმოვს, რადგან საზოგადოების მდივანმა მ. ა. ვერმიშევმა თანამდებობა დასტოვა: 2) საზოგადოების მოქმედების ანგარიშის შედგენა 1913—1914 წლებისა დაევალოს ე. ო. იოსელიანს. ეს ანგარიში დამზადებული უნდა იქნეს 10 ქრისტეშობისთვემდე, როცა საბჭოს მიერ შემუშავებული საფინანსო ანგარიში უკვე განხილულ იქნება სარევიზიო კომისიის მიერ.

**„განათლების“ საზოგადოების** გამგეობამ [illegible] მასწავლებლად ქალთა სკოლაში მიიწვია გიორგი სვანიძე, რომელმაც ახლად დაამთავრა სწავლა თბილისის სამუსიკო სკოლაში.

**საზოგადოებანი და კრებები.** წ. კ. საზ: გამგეობის კრებამ 10 გიორგობისთვეს 1) მოისმინა დ. კარიჭაშვილის მოხსენება ქართულ-რუსულ ლექსიკონის შესახებ. ა—ზ-დე უკვე შეუდგენია ბ-ნს კარიჭაშვილს ლექსიკონი, ხოლო სავსებით მზად იქნება იგი მომავალი წლის მარიამობისთვემდე; 2) განაწილებულ იქმნა გამგეობის წევრთა შორის მოხსენებათა წაკითხვა საზოგადოების დღიურ კრებაზე; 3) ხელმეორედ გადათვალიერებულ იქინა მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა და მიღებულ უდეფიციტოდ.

**სასულიერო სემინარიის** ახლად დანიშნული ინსპექტორი ბ. ბეკლამიშევი სტავროპოლიდან უკვე ჩამოვიდა ტფილისს და თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

**საცდელ ადგილების დათვალიერება.** ხვალ, 13 გიორგობისთვეს, ქარ. სას. სამ. საზ. მდივანი ვ. ი. რცხილაძე მიემგზავრება საგარეჯოს იმ ადგილების დასათვალიერებლად, რომელთაც საგარეჯო და მეზობლად მდებარე სოფლები უსასყიდლოდ უთმობენ ხსენებულ საზოგადოებას იმ პირობით, რომ ამ ადგილებზე გაშენდეს საცდელი სანერგე, ხეხილის ბაღი, ვენახი, ბოსტანი, საქონლის საკვები საბალახე და სხ. შაბათს, 14 ამა თვეს, ბ-ნი რცხილაძე სოფლის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერებს ხსენებულ ადგილებს, ხოლო მეორე დღეს, 15 გიორგობისთვეს, შესდგება სოფლის ყრილობა განაჩენის დასადგენად.

**შაქრის ფასები.** თბილისის საბირჟო კომიტეტმა მიიღო შემუშავებული წესდებანი საგანგებო თათბირის მიერ, რომელიც პეტროგრადში მოხდა სასურსათო საკითხის ზომების მისაღებად. ძირითადი ფასი შაქრის ფხვნილისა 1 ენკენისთვემდე 1916 წლის თათბირის მიერ მიღებულია 5 მან. 10 კაპ. რუსეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. სხვა კუთხეები იხდიან გადასატან ფასს სადგურ პოგრებიშჩიდან ამავე სამხრეთ დასავლეთ რკინის გზისა, ასე რომ ხარკოვში შაქრის ფხვნილი ღირს ფუთი 5 მ. 52 კ. ტულაში 5 მ. 66 კ., ორიოლში 5—85, კურსკში 5—51, ვორონეჟში 5—63, პოლტავაში 5—45, ტამბოვში 5—70, და ჩერნიგოვში 5—40. შემუშავებულია ფასები აგრეთვე მთელი კავკასიის ქალაქებისათვის მათ რიცხვში უმთავრესი ქალაქებისთვის ფასებია შემდეგი: ბაქოში—6 მან. 43 კაპ. ბათომში — 6 — 58, განჯაში 6—12, ქუთაისში 6—56, თბილისში 6—52, სტავროპოლში 6—28 და [illegible]

# ქალის კულტი საქართველოში

(ლექცია ვ. გურკოსი, არტისტიულ საზ. საკონცერტო დარბაზში 7 გიორგობისთვეს წაკითხული).

ლიტერატურის ისტორიკოსები საზოგადოდ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმ საოცარს ფაქტს, თუ რაოდენ ზერელედ და ხშირად ყალბი სახით ასწერენ მშვენიერ კავკასიას, წარსულ საუკუნის რუსეთის გამოჩენილი მწერლებიც კი. ერთის შეხედვით ისე მოსჩანს, თითქოს ამის საბაბი მათ არა ჰქონიათ. პუშკინსა, ლერმონტოვსა, პოლონსკისა და სხვა მწერლებსაც არა ერთხელ გაუვლიათ კავკასიაში, ბევრს მათგანს უცხოვრია კიდეც. აქაურს ჰაერს და დიად ბუნებას ღრმა შთაბეჭდილება დაუტოვებია მათზე, რაიც მთელს სიცოცხლეში სანუკვარ ხსოვნად დარჩენიათ. პუშკინის „ჩერქეზული პოემები“ ანუ ლერმონტოვისა და ლევ ტოლსტოის კავკასიური მოთხრობები განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდენ, როგორც მთიელთა ცხოვრებიდან ამოგლეჯილი თვალ-წარმტაცი სურათები. ამის და მიუხედავად რა წამს ჩამოვშორდებით თოვლიან მწვერვალებს და დაბლა ღელეებში შორს დავტოვებთ ღრუბლებით მობურულს ყაზბეგს და „ალმასივით მოციმციმე“ მის მწვერვალს, ჩვენ წინ იშლება ახალი ზურმუხტის ველი, სადაც მიმოჰქრიან ფეხმალი მერნებით ჰაჯი-აბრეკები, გუდალები, იზმაილ-ბეგები და სხვა გმირები, რომელნიც მხოლოდ სისხლსა და ხმალ-კაპარჭზე ოცნებობენ.

ჩვენი მწერლების ალღო აქ იმდენად ყალბს ნიადაგზე სდგას, რომ ფეხის გადადგმაზე განსაკუთრებულ შეცდომაში შეჰყავთ გულუბრყვილო მკითხველი. იმ დროს, როდესაც მთიელნი გატაცებულნი იყვნენ რელიგიური ძიებით, ჩვენი მწერლები მათ სისხლზე და ყაჩაღობაზე ალაპარაკებდნენ თავიანთ გმირებს. პუშკინი, მაგალითად, ასე აგვიწერს მათს ცხოვრებას:

„აულში კარის ზღრუბლის წინა
ჩერქეზნი სხედან უდარდელადა,
შვილნი ლამაზი კავკასიისა
გაიხსენებენ ძველის ძველ ამბებს,
აქებენ მერანთ მოკაზმულობას,
რბევის დროს მკვირცხლად ტორე-
ბის ცემას,
თარეშით განცდილ სიამის წუთებს
და გამქრალ დღეთა ტკბილ სახსო-
ვარსა...“

რამდენიმე წლის შემდეგ ეს „უდარდელი ჩერქეზები“ იმდენს ახერხებენ, რომ საკუთარ სამეფოს აარსებენ, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ღირსეულად და ძლევამოსილი ებრძოდა რუსეთს. ეს დიადი ფაქტი, წარმოიდგინეთ, შეუმჩნეველი რჩება მეორე გენიოს მგოსანს ლერმონტოვს, რომელიც მოწმე გახდა ამ საოცარი ბრძოლისა, რომელშიც თვითონაც იღებდა მონაწილეობას. მიუხედავად ამისა, იგი ჩერქეზებს ახასიათებს კვლავ ძველი ნაცადი ფერადებით, იმავე უდარდელებად, თარეშობისა და მხოლოდ სისხლის წყურვილით გატაცებულ ხალხად. ასე მაგალითად, მისი ჰაჯი აბრეკი ერთი ხმლის დაკვრით თავს გააგდებინებს მშვენიერს ლეილას. და რამდენია ასეთი სურათები იმავე ლერმონტოვის ნაწერებში, თუ ოშხივარ ადენილი ხანჯალი როგორ სისხლში ელვარებს გულ გაპობილ ქალის მკერდზე!

წარმოვიდგინოთ ერთი წუთით ტრაღიკული მდგომარეობა იმ ისტორიკოსისა, რომელსაც წილადა ჰხვდება ასწეროს კავკასიის ომები ლერმონტოვის პოემების მიხედვით. წარმოვიდგინოთ, რომ მას ამ პოემების იქით სხვა საშუალება აღარა მოეპოვება რა სინამდვილის აღსადგენად, ცხოვრება ჩამკვდარა, სხვა რაიმე ძეგლი და საბუთი არ მოიპოვება. მაშინ ისტორიკოსი იგი ისეთ კარიკატურულ სახით აგვიწერდა „გაზავატებს“ ანუ სამღვთო ომებს, რომ სულ ერთიანად დაუკარგავდა კავკასიის ხალხს სულიერ ცხოვრების იერს. აი, რა სიკეთეს შესძლენიდა ჩვენს ისტორიკოსს ლერმონტოვის ზერელე სახით დახატული ტიპები, აი რა სიყალბეზე აადგენდა სრულიად უცხო, მაგრამ ფრიად საინტერესო ხალხის ცხოვრებას.

ასეთივე სიბეცე და ეროვნულ პსიხოლოგიის გაუგებრობა გამოიჩინეს ჩვენმა მწერლებმა ქართველი ერის წინაშეც. აქ ჩვენი მწერლები სამშობლო ბუნებასთან შედარებით სრულიად წინაალმდეგს სურათებს ჰხედავდნენ. ამიტომაც საქართველო ჩვენი მგოსნების წარმოდგენაში დაიხატა უბედნიერეს ქვეყანად, სადაც მხოლოდ შრიალა, ცამდე აზიდულ ჭანდრებისა, ვერცხლის ნაკადულებს საამური ჩხრიალი გააქვთ და ბულბულებიც არ სწყვეტენ საამურს სტვენას. ქალთა სიტურფე ხომ გააგიჟებს ადამიანს.

საქართველო ჯერაც არ გამორკვეულიყო იმ შემაძრწუნებელ გაბრუებიდან, რომელშიაც ჩავარდა აღამაჰმადხანის შემოსევით, და აი, ამ ქართველთა შესახებ ლერმონტოვი გვიხატავს ისეთს სურათს, რასაც თაობიდან-თაობამდე იზეპირებს ჩვენი ახალგაზრდობა. მე მოგახსენებთ მის „დავის“ შესახებ.

„შეხედე,—ეუბნება მყინვარი იალბუზს,—ჭადრის ჩრდილ ქვეშ ქართველს, როგორ სთვლემს და ცანცარით აქაფებული ღვინო როგორ ექცევა შარვალზეო“.

მაგრამ რომ ჩვენს პოეტს სელჯუკთა თავდასხმა და თარეშობა საქართველოს ასაოხრებლად ერთგვარს აღფრთოვანებას ჰგვრიდა, ეს არავისთვის არ არის დაფარული. მას ფრიად მოსწონდა ცამდე ატყორცნილი „ნანგრევთა სვეტები“.

ჩვენი მგოსნების სიბეცე იქნობამდინ მიდიოდა, რომ ქართველთა პსიხოლოგიის ძირითადი თვისებანიც კი შეუმჩნეველი რჩებოდათ. ჩვენ შეგვიძლიან მრავალი ნაკლულევანობა ვუკიჟინოთ ქართველთ მაგრამ ერთს მათს ღირსებას ვერავინ უარჰყოფს. ეს გახლავთ მათი **სიმამაცე**. თვით ქართველთა არსებობა, როგორც დამოუკიდებელი ხალხისა, რომელმაც სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეინარჩუნა სპარსთა და აუარებელ მტერთა შემოსევის ქარტეხილებში, თამამად ჰღაღადებს მათს გმირობას და რაინდობას.

ახლა გადავხედოთ ჩვენს რუს მწერალს! მხოლოდ ორიოდე სტრიქონი უძღვნა ქართველთა დახასიათებას და ისიც სინამდვილესთან ისე შორსა სდგას, როგორც ცა და დედამიწა.

„აღარ გაგრძელდა ბრძოლა ფიცხელი, უგზოდ გარბოდნენ მხდალნი ქართველნი!“ ასე გულგრილად აგვიწერს ლერმონტოვი ყაჩაღთა ბრბოს შეტაკებას ახალგაზრდა თავადთან და ოდნავაც ვერ ამჩნევს, თუ რა შეუსაბამოდ ახასიათებს მხლებელ ქართველებს.

პუშკინიც კი, ეს უჭკვიანესი და გამჭრიახი ადამიანი, თბილისის აღწერილობის შემდეგ ასე გვიხასიათებს ქართველს:

„ქართველები მეომარი ხალხია... მათი გონებრივი ნიჭი მალე ითვისებს განათლებას. მეტად მხიარულები არან. უყვართ ერთად თავის მოყრა, დროს გატარება, ქეიფი და შემდეგ ერთად ქუჩა-ქუჩა სეირნი. შავთვალა ბიჭები მღერიან, ხტუნაობენ, კოტრიალობენ. ქალები ლეკურს უვლიან...“

როდესაც ამ სტრიქონებს კითხულობთ, უნებლიედ წარმოგიდგებათ სურათი, რაღაც ნახევრად გაველურებულ ხალხის ცხოვრებიდან, გგონიათ პაპუასებთან და ბუშმენებთან გაქვთ საქმე და არა ქართველებთან, რომელთაც უკანასკნელი 16 საუკუნის კულტურა აქვთ, საკუთარი ტაძრების განსაკუთრებული ხუროთმოძღვრება და გენიოსი პოეტები!

ასეთი წარმოდგენა საქართველოსი თითქმის თვითეულ რუსის თავშია. გეტყვიან იმას, რაც როდისღაც რაღაც ვიღასგანაც გაუგონიათ. ჩურჩხელები, მკვლელობა, კახური ღვინო, ლეკური,—აი ის ფერადები, რომელითაც ასურათებენ ყველა კავკასიელს. არ მსურს, რომ ვინმემ ეს სიტყვიერ ბრალდებად ჩამითვალოს. მე დავასახელებ რუსეთის დღევანდელ ცნობილ მწერლებს, თუნდა კუპრინს, რომელმაც ასე დაგვიხატა ქართველი სტუდენტი ნიჟარაძე, „ჯურღმულში“. თქვენს გაოცებას საზღვარი არა აქვს ამ სულელურ აღწერილობის გამო, მაგრამ ეს კი ასეა, ფაქტი, როგორც კუპრინის მიერ დახატული სურათი! საშობაოდ თავადი მშობლებისგან მიიღებს მთელ კალათა ძღვენს, აქ ნახავთ შემწვარ ბატკნის ხორცს, ყურძენს, ჩურჩხელებს, ბადრიჯანს, აგრეთვე ტიკით ღვინოს. თავადი გაჰმართავს ვახშამს, ქეიფის დროს მღერიან „მრავალ ჟამიერ“ (კუპრინის ორთოგრაფია გახლავთ ეს), დაუღალავად ლეკურს უვლიან და წარა-მარად ველურად ატრიალებენ დანებს. ამის გარდა ნიჟარაძემ 300 ჯერ წარმოსთქვა სიტყვა და გატაცებით ამტკიცებდა, რომ რუსთველი ათასჯერ მაღლა სდგას შექსპირზეო და რომ მთელი ქვეყნის ქალებს მაზე თვალები რჩებათ და სხვა და სხვა.

კუპრინი მარტო ერთი არ არის ჩვენს მწერლობაში. მეორე თვალსაჩინო მწერალი არციბაშევი აგვიწერს თავად დორბელიანს (მოთხრობა „შური“), რომელიც ბევრით არაფრით აღემატება კუპრინის სახელოვან გმირს.

ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ეხლა ცხადია, თუ საიდან წარმოსდგა ასეთი თავისებური იდეოლოგია ჩვენს რუსის მწერლებში. პუშკინიც და ლერმონტოვიც მთელ ხალხს და რაოდენადმე თვით ქართველობასაც ევროპიულ რომანტიზმის სათვალით უყურებდნენ და მიტომაც მათი დარიელები, იზმაილები თუ სხვა გმირები, პირწმინდად ფანტასტიური ტიპები არიან, რომელთაც ბაირონიზმის ბეჭედი აზისთ. ბაირონი პირვანდელ ხასიათის ველურ ბუნებოვან ტიპების შესაქმნელად თავგადაკლული იბრძოდა ხან საბერძნეთისკენ, ხან ალპის მთებისკენ. თვალს ადევნებდა ყაჩაღთა ველურ ცეკვა-თამაშს და სიმღერებსა. რუსის მწერლებიც სრულიად მოულოდნელად დარწმუნდნენ, რომ რომანტიულ მასალების მოსაკრებად არც კი სჭიროდათ სამშობლოს საზღვრებს გასცილებოდნენ. მთელ ხალხს და ქართველებს ისე უყურებდნენ, როგორც ხელუხლებელ სალიტერატურო მასალას, ისევე ძვირფას და პირვანდელ მდგომარეობაში მყოფს, როგორც თვით კავკასიის დიადი მადნეულობა გახლავთ. რუს მწერლებს ეოცებოდათ კავკასიის მაღალი მწვერვალნი, აღელვებდათ კლდოვანი ფერდობები, რაიც რომანტიულ ლიტერატურის საუკეთესო საღებავებს შეადგენს. მათ ეს აინტერესებდათ და ამის იქით არ დაგიდევდნენ, თუ ხალხი რას ჰგრძნობდა, რას განიცდიდა.

ამ გულგრილობის მიზეზი კიდევ სხვა რამეც გახლდათ. რომ მთის ბინადარნიც და ქართველობაც რაც უნდა იყოს, აღმოსავლეთის შვილთ ეკუთვნიან. ეს კი საკმარისია, რომ ერთგვარი ზოდიშით მოვეპყრათ ამ ყალბსა და ხშირად ათვალწუნებულ შეხედულობას, დასავლეთ კულტურას ზიარებულ განათლებულ რუსულ საზოგადოების მხრივ.

(შემდეგი იქნება)

ვ. გურკო.

ერევანში 6—58. შაქრის თავის ფასებს ამ ფხვნილის ფასს უნდა დაემატოს ფუთზე 25 კ. ხოლო დახერხილ შაქარს 35 კაპეიკი.

✦ **ტრამვაის** ახალ მუშებს დირექციამ აღუთქვა ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მაგრამ არ შეუსრულებია დირექციას. ფორმის ტანისამოსი ყველა კონდუქტორს არ მიუღია და ბევრი მათგანი საკუთარ დაგლეჯილ ტანთსაცმელით მსახურებს ვაგონებზე.

✦ **გიორგი ზდანოვიჩი,** თავმჯდომარე ჭიათურის შავი-ქვის მწარმოებელთა საბჭოსი, ქუთაისიდან თბილისს ჩამოვიდა სასურსათო თათბირზე, მონაწილეობის მისაღებად.

✦ **სასურსათო საკითხის გამო.** თათბირზე, რომელიც მეფის ნაცვლის თავმჯდომარეობით გაიმართა 10 ამა თვეს, ქართულ დაწესებულებათა შორის მხოლოდ ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა მარშალი თავ. სუმბათაშვილი იყო მიწვეული მონაწილეობის მისაღებად. ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ, რომელიც საშუალებას მოკლებული იყო თავისი წარმომადგენელი გაეგზავნა თათბირზე, თავ. სუმბათაშვილს წერილი წარუდგინა, რომელშიაც აღნუსხულია საჭიროება საკვებისა სოფლისათვის და საშუალებანი საკვების შეძენა-მოზიდვის შესახებ. საჭირო იყო ბ-ნ სუმბათაშვილს მოეწვია სხვა და სხვა დაწესებულებისა და პრესის წარმომადგენელნი ამ საჭირ-ბოროტო საკითხის გამოსარკვევად საერთო ძალ-ღონით. სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა.

✦ **ქალაქთა კავშირში.** რუსეთის ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილების თავმჯდომარემ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობისაგან მიიღო წინადადება, რომლითაც გამგეობა სთხოვს კავშირს, რომ სამკურნალო ორგანიზაციამ კრებებზე ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელიც მოიწვიოს ხოლმე.

✦ **წარმოდგენა.** პარასკევს, 13 გიორგობისთვეს, საარტისტო საზოგადოების თეატრში გაიმართება წარმოდგენა „პიგმელიონ“-ი, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას დასის საუკეთესო მსახიობნი. შემოსავალი გადაიდება თბილისის ქალთა უმაღლეს კურსების მსმენელთა საურთიერთო დამხმარე კასის სასარგებლოდ.

✦ **სურსათი.** 8 და 9 გიორგობისთვეს, რკინის გზით შემოვიდა თბილისში: ფქვილი 15 ვაგ., კარტოფილი 3 ვაგ., კომბოსტო 1 ვაგ., ხორბალი 1 ვაგ., ქერი 1 ვაგ., ბზე 2 ვაგ., ღვინო 1 ვაგ., ხილი 2 ვაგ., ჩაი 127 ფუთი, ლობიო 191 ფუთი.

✦ **გადამდები სენი.** 11 გიორგობისთვეს ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ხოლერიანი 17, ქუნთრუშიანი 128, სახადიანი 46, საოფლიანი 41, ხუნაგიანი 22, მუცელათი ავადმყოფი 3 და ყვავილიანი 3 კაცი.

✦ **ხარფუხში,** სეიდაბათის ქუჩაზედ № 3 საპოლიციო 5-თე ნაწილში სცხოვრობს მეტათ გაჭირვებული ოჯახი. **ტასო აივაზოვისა,** სამი სულისაგან შემდგარი. ხშირად ორი-სამი დღე ლუკმაპუროთა სხედან. მათი მარჩენალი 80 წლის მოხუცი ავადმყოფი დედაკაცი, რომელიც ხშირად კვირაში ათ შაურსაც ვერა შოულობს—უსინათლო ქალისა და მისი ქალის შვილი გამოსაკვებად, რომელთაც ღარიბი მეზობლები ეხმარებიან, ბევრჯერ სიმშილისაგან მიბნედილები ძილს ეძლევიან. დაეხმარეთ ვისაც რითი შეგიძლიანთ.

✦ **საგულისხმო ცნობა.** მოსკოვის საადგილ-მამულო ბანკის აქციონერთა კრებამ ამას წინად, მოსკოვში ინვალიდთა სახლის დასაარსებლად, სათადარიგო თანხიდან ოცი ათასი თუმანი გადასდო.

ფინანსთა მინისტრმა ეს დადგენილება არ შეიწყნარა: სათადარიგო თანხის დანიშნულება მხოლოდ ბანკის ზარალის გასტუმრებააო.

✦ **დაჭრილი და ავათმყოფი ჯარისკაცნი.** თბილისის ლაზარეთში მოთავსებული არიან: სურმავა იულონ ანტონის ძე, კობახიძე არტემ დათას ძე, ჩიჩუა ანტონ, აბულაძე დომენტი ფილიპეს ძე, დემეტრაშვილი ისაკი ალექსის ძე, მინდიაშვილი იოსებ მაქსიმეს ძე, იმნაძე ილია პავლეს ძე, ლომთაძე გალაქტიონ სიმონის ძე, ჩარხალაია იონა პეტრეს ძე, ბოკუჩავა ევგენი ბესარიონის ძე, ბელეიშვილი დიომიდე ყარამანის ძე, ვლადიშვილი ალ. ფრიდონაშვილი დათა მალ., სვანიძე იაკობ გიორგის ძე, აშკარელი ლევან ზაქარიას ძე, დევჩილაშვილი გიორგი ივანეს ძე, თურქიაშვილი სიმონ გიორგის ძე, სვანიძე ონისიმე ალექსის ძე, ლომაშვილი დიმიტრი როსტ., შერეზია პეტრე დათას ძე, სვანიძე სამსონ ივანეს ძე, თათარაშვილი აბ. სარ., გოლაშვილი ალექსი ივანეს ძე, გიორგაძე გიორგი ალექსის ძე, ჩითანავა ილარიონ ფილიპ., ქებულაძე კირილე დათას ძე, ჯალაღანია ალექსანდრე, ქამბოლაიშვილი ზაქარია, უდუშაშვილი ალექსი ზაქარიას ძე, რუსიაშვილი ალექსანდრე სოს., ქოლთუხიაშვილი ლეონ ამბ., ბეროზაშვილი ვასილი ზალიკ., გეორგიაშვილი ილიკო მიხაკოს ძე, ქადანაზაშვილი ზაქარია ილიას ძე, მეცხვარიშვილი პავლე სპირიდონის ძე, ვაჩნაძე ნიკო დიმიტრის ძე, ელისაბედიშვილი დავით გიორგის ძე, ცაცუა ვასილ მაქ., სონიშვილი შაქრო თედორეს ძე, ლიაშხია მიხეილ ექვთ., ქობალია სიმონ უტუს ძე.

# თათბირი სასახლეში

როგორც გუშინდელ ცნობაში გვქონდა მოყვანილი, ვიდრე თათბირი დაიწყებოდა მეფის ნაცვალმა, დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ სიტყვით მიმართა წარმომადგენელთ.

მოგვყავს ეს სიტყვა ეხლა მთლიანად:

**„ბატონებო, ჩემი ვალია როგორც მეფის ნაცვლისა მის იმპერატორობით უდიდებულესობისა კავკასიაში, დაუყოვნებლივ მივიღო ყველა ზომები მცხოვრებთა პირველ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ საკითხის უზრუნველყოფისა, აგრეთვე ბოლოს მოღება დღითი-დღე ფასების აწევის ამ მოთხოვნილებაზე და საცხოვრებელ ბინებზე. ჩემ ხანმოკლე აქ ყოფნაში მე არ შემეძლო საკმაოდ გავცნობოდი ყველა ადგილობრივ პირობებსა მოთხოვნილებებს. შეცდომების თავიდან ასაცილებლად, დიდმნიშვნელოვან საკითხის გადაწყვეტის დროს გთხოვეთ თქვენ, ბატონებო, რომ შეკრებილიყავით ჩემთან, ვინაიდან მსურდა მესარგებლა თქვენის ცოდნითა და გამოცდილებით, რადგან დრო გარბის და ჩვენ არ გვიცდის. ამიტომ ვიმედოვნებ ბატონებო, რომ თქვენი შრომა მსწრაფლ ნაყოფს გამოიღებს. ვგლახ, რომ რკინის გზებზე უსათუოდ სუფევს ბოროტ-მოქმედებანი, რომელთა მოსასპობად ჩემ მიერ უკვე მიღებულია წინასწარი ზომები. რკინის გზებზე წესიერ მიმოსვლის აღსადგენად მიმიღია უკვე საჭირო ზომები. ღვთის შეწევნით ვიმედოვნებ, რომ ჩვენი მუშაობა კეთილად დაგვირგვინდება ვინაიდან ყველას ერთი გრძნობა გვასულდგმულებს —სარგებლობის მოტანა, ამ კუთხისა მეფის სასიხარულოდ. გამოვთქვათ ჩვენი გრძნობანი ხელმწიფე იმპერატორისადმი ძლიერ კავკასიურ „ურა“-თი“.**

დამსწრეთა მქუხარე „ურამ“ დაჰფარა მეფის ნაცვლის უკანასკნელი სიტყვები.

თათბირის შემადგენლობა შემდეგია: თავმჯდომარე—მისი იმპერატორობითი უმაღლესობა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე. წევრებად არიან: მეფის ნაცვლის სამხედრო და სამოქალაქო ნაწილთა თანაშემწენი, მისი ამალის წევრი, მისი რწმუნებული, მის კანცელარიის და საბჭოს წევრნი, ჯარების უფროსი, შტაბის უფროსი, მიწად მოქმედების დეპარტამენტის რწმუნებული, ბათუმის ციხის უფროსი, ოლქის უფროსნი: ყუბანისა, თერგისა, ყარსისა და დაღესტნისა, გუბერნატორები: თბილისისა, ერევნისა, ქუთაისისა, ბაქოსი, შავი ზღვის პირისა, განჯისა და სტავროპოლისა, თავად-აზნაურთა გუბერნიის მარშლები: თბილისისა, ქუთაისისა და სტავროპოლისა, უფროსნი სამხედრო მიმოსვლისა და საინტენდანტოსი, რკინის გზის უფროსნი ამიერ კავკასიისა და კავკავისა, უფროსნი სახაზინო პალატებისა: თბილისისა, ქუთაისისა, ბაქოსი, ერევნისა ეკატერინოდარისა და სტავროპოლისა, უფროსი თფილისის სახელმწიფო ბანკისა, ინსპექტორი სამეურნეო ნაწილისა კავკასიაში, სავაჭრო პორტების უფროსნი: ბაქოსი, ბათუმისა, პეტროვსკისა, ფოთისა და ნოვოროსიისა, წარმომადგენელნი ქალაქთა და საერო კავშირებისა, საგუბერნიო საერობო გამგეობის წარმომადგენელნი, ქალაქის თავები: თბილისისა, ქუთაისისა, ფოთისა, სოხუმისა, ბათომისა, კავკავისა, ბაქოსი, ერევნისა, გუმბრისა, განჯისა, შუშისა, ნოვოროსიისა, გიორგიევსკისა, გროზნოსი, ყიზლიარისა, მოზდოკისა, კისლოვოდსკისა, პიატიგორსკისა, ეკატერინოდარისა, ეისკისა, ანაპისა მაიკოპისა, ტემრიუკისა,სტავროპოლისა და სვიატი-კრესტისათვის ქალაქების გამგეობის წევრებითა, თავჯდომარენი ბაქოს ნავთის მრეწველთა საბჭოსი და ჭიათურის შავი-ქვის საბჭოსი, საბირჟო კომიტეტების თავმჯდომარენი: თბილისისა, ბაქოსი, ბათომისა,ეკატერინოდარისა, გიორგიევსკისა, ნოვოროსიისა და არმავირისა, კოოპერატიულ საზოგადოების თავმჯდომარენი: თბილისისა, ბაქოსი და საზღვაოსნო და სანავოსნო ნაწილების გამგე „კავკაზ და მერკური“-სა.

თათბირს, 10 გიორგობისთვეს საღამოს კრებაზედ მოხსენდა ქალაქის მოურავთა ცალკე თათბირის წინა დღის შემდეგი დადგენილებანი: 1) დაარსება საზოგადო კონტროლისა საქონლის გადასაზიდად, ვინაიდან ეს საკითხი მეტად ცუდათ არის დაყენებული; 2) ფასების ფიქსაცია (კონტროლი) სანოვაგეზე ადგილობრივ წარმოებისა; 3) ნამდვილ აქტიურ მონაწილეობის მიღება ქალაქის თვითმართველობის მხრივ მცხოვრებთა სანოვაგის შეძენასყიდვაში. მიიღო რა თათბირმა ეს დადგენილებანი თავის მხრივ წამოაყენა კითხვები, რომელიც უნდა გაირჩეს სექციის სხდომებზე. ეს კითხვები შემდეგია: 1) უსარგებლოდ სესხის გაღება ქალაქებისთვის 2) ფართე მონაწილეობის მიღება საზოგადო და ქალაქთა მოღვაწეთა საქონლის გადაზიდვის ზედამხედველობაში; 3) უხერხულობა სანოვაგეთა შეძენისა სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლების მხრივ; 4) გადასინჯვა გადასაზიდ საქონლის რიგის ანუ ჯერის მხრივ; 5) კავკასიის ცენტრალურ სასურსათო ორგანოს ორგანიზაცია და აგრეთვე ადგილობრივ ორგანოებისა; 6) საჭირო სურსათის რაოდენობის გამოკვლევა; 7) გაძლიერება რკინის გზის მოძრაობისა და განხილვა მათ ტარიფებისა; 8) წარმომადგენელთა დანიშვნა ქალაქის თვითმართველობის მხრიდან 9) მინდვრების ახალი მოხვნა; 10) დაარსება გარდა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტებისა აგრეთვე საქალაქო კომიტეტებისაც.

# ზ ა ს ი

XXIII

**ჩვენ და მეზობლები.**

ამას წინად დაიბეჭდა კრებული— Чего ждетъ Россія отъ войны (რას მოელის რუსეთი ომისგან), სადაც მოთავსებულია ფრიად საყურადღებო წერილი, პავლე ნიკოლოზის-ძის მილიუკოვისა, ასეთის სათაურით—სატერიტორიო შემატებანი რუსეთისა. კრებულს დართული აქვს ოთხი რუკა. საყურადღებო ჩვენთვის მეოთხე რუკაა, აქაა მოხაზული ექვსი ვილაიეთი ოსმალეთისა და იქიდან გამოჭრილი ცალკე მომავალი საავტონომიო სომხეთი.

მილიუკოვი დარწმუნებულია, რომ ექვსის საოსმალო ვილაიეთიდან გამოჭრა საავტონომიო სომხეთისა ადვილიაო. ამას უნდა შეემატოსო, ბრძანებს ცნობილი პუბლიცისტი, მეშვიდე ვილაიეთი—ტრაპიზონისა. მართალია, აქ უმრავლესობა მაჰმადიანობაა, მაგრამ სომხეთს გასავალი კარი უნდა ჰქონდეს ზღვისკენო. ამასვე მოითხოვსო ეთნოგრაფიული „ანკლავა“ და ის გარემოება, რომ გეოგრაფიულად დამოკიდებული ოლქი განიცდის იმ ტერიტორიის ბედს, რომელთანაც დაკავშირებულიაო. რადგან შავი ზღვის პირი დამოკიდებულია გეოგრაფიულად სომხეთის მომავალ საავტონომიო ტერიტორიისაგან, მაშასადამე ტრაპიზონი და მისი არე სომხეთს ეკუთვნისო. ეს საერთო მიღებული პრინციპიაო.

რაღა თქმა უნდა, რომ მილიუკოვის აზრით ეთნოგრაფიულად გაერთიანებული სომხეთი, დამატებით ტრაპიზონის ვილაიეთისა, უნდა შეუერთდეს რუსეთს. ერთში აწყენინა მილიუკომა სომხის პუბლიცისტებს—ხმელთა შუა ზღვის პირას მდებარე ადანას და კილიკიას ვერ შეუერთებთ სომხეთსა. შორსაა და ვერ მოუვლითო. იქ ათასი ინტერესია ჩახლართული, ფლოტი არა გვაქვს და სჯობს ხელი ავიღოთ ადანასა და კილიკიაზეო.

ჩვენის ფიქრით, ბ-ნი მილიუკოვი მაინც გულუხვად მოეპყრა სომხებს. რა უყოთ, რომ კილიკიასა და ადანაზე უარი უთხრა; ამის მაგიერ ძველი ჰანეთი ქ. ტრაპიზონით უფეშქაშა. მიუხედავად ამისა ზოგიერთმა სომხის პუბლიცისტმა საყვედურით დაახრჩო მილიუკოვი. ეგ სადაური გადაწყვეტაა „საკითხისაო“.

ალბად ასეთ მოსაყვედურე პუბლიცისტებს უნდა ეკუთვნოდენ გ. დ. მნაცაკანიანი და ნ. მ. ლაგოვი.

ფსევდონიმ—ერუზინის სიტყვით ამ ბატონებს ისე ესმით მომავალი სომხეთი, რომ თუ მათი გამგონე გამოჩნდა ვინმე და შექმნა ისეთი სომხეთი, როგორც მნაცაკანიანს და ლაგოვს ჰსურთ, მაშინ მომავალ სომხეთს შიგ მოჰყვება მთელი ამიერ-კავკასია და ანატოლია. რადგან საოცნებო სომხეთს ჰსაზღვრავს კასპისა და შავი ზღვა, კავკასიონი და ხმელთა შუა ზღვა.

მნაცაკანოვის ფიქრით **საოსმალო სომხეთი** უნდა შეიცავდეს ტერიტორიას, რომელიც შემოიფარგლება ასეთის მოხაზულობით: ქალაქ უნიედან (ეს ქალაქი სდევს ტრაპიზონსა და სინოპს შუა) წამოვა ხაზი ქალაქ კესარიამდის (მდებარეობს შუაგულ ანატოლიაში), აქედან ხაზი ჩავა ქ. ადანამდე (ხმელთა შუა ზღვის პირას, კუნძულ კვიპროსის პირდაპირ), შემდეგ გაუვლის ქ. ისკენდერუნს. აქედან აუხვევს ქ. დიარბეკირამდე, შემდეგ მდ. ეფრატით ქ. კოტურამდე და სულ ბოლოს სპარსეთ-რუსეთ-ოსმალეთის სამზღვრით ქ. უნიემდე.

ბ-ნ ნ. მ. ლაგოვის ფიქრით სპარსეთისა და რუსეთის სომხეთის სამზღვრები ასეთი უნდა იყვეს. აღმოსავლეთით ტალიშას მთები და კასპის ზღვა, სამხრეთით ირაყ აჯეში, ჩრდილოეთით კავკასიონის ქედის სამხრეთი ფერდობი და დასავლეთით ყარსის ფაშალიყი და შავი ზღვა. ეს ხომ მთელი ამიერ-კავკასიაა დამატებით სპარსეთის ტერიტორიისა ირაყამდე?

რომ შეაერთოდ სამი სომხეთი-სარუსეთო, საოსმალო და სასპარსეთო გამოვა ის საოცნებო სომხეთი, რომელიც დააკმაყოფილებს მნაცაკანოვს და ლაგოვს და რომელიც გადიჭიმება მყინვარ-იალბუზიდან ადანის ყურემდე. (კვიპროსის პირდაპირ) და კასპის ზღვიდან შავ ზღვამდე. ოცნება და მადაც ასეთი უნდა. ამის შემდეგ ვინღა გაჰბედავს და იტყვის, რომ ბურჟუას პოეზიისა არა ესმის რაო. პოეზიაა ასეთი ოცნება, მაშ რა ჯანდაბაა, ეს აღვირახსნილი ფიქრი და ამ ფიქრის ქაღალდზე გადატანა.

ყველა ეს შეიძლება ზოგს ხუმრობად ეჩვენოს. გულში ნურავინ გაივლებს ასეთ ფიქრს. ბ-ნი მნაცაკანოვი სცდილობს დაასაბუთოს, თუ რამ აიძულა შემოეხაზა ანატოლიაში სომხეთი, იმ სახით, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ. სომხეთის ამ გვარ შემოფარგვლას მოითხოვსო, ბრძანებს ბ-ნი მნაცაკანიანი, „ფაქტიური მფლობელობა სომხის ერისა, ისტორიული წარსული, საკულტურო მისწრაფებანი და ტერიტორიის ისეთი სივრცე, რომ სომხეთს შეეძლოს ეკონომიურად განვითარდესო“.

ეს ყველა კარგი, მაგრამ ასეთი ბედნიერება განა აწყენს ქართველ კაცს? ეჩოსავით სულ თავისკენ თლა, განა სამართალია? ლაგოვს და მნაცაკანიანს რომ უყურებ, უნებლიედ გაგახსენდება: მე და ჩემმა ქმარმა ვიანგარიშეთ და ჩემს მაზლს არაფერი ერგოვო!

ა.—ლი.

# ახალგაზრდობა

ხშირად შეხვდებით ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ახალგაზრდათა წერილებს. მეტ წილად წერილების შინაარსი შეიცავს მათს ნაადრევს გულისთქმას ამა თუ იმ პოლიტიკურ მიმართულების შესახებ. სასიამოვნო ამბავია. სჩანს, ჩვენი ახალგაზრდობა ფხიზლობს. საზოგადოებრივი ინტერესი იმასაც იტაცებს; მაშასადამე, ამავე თავით შეეცდება, რომ მომავალში ნიადაგი განიმტკიცოს საზოგადო მოღვაწეობისთვის. მშობელ მხარესაც ამაზე მეტი არა უნდა რა, რომ ყოველთვის მომზადებული მეომარნი ჰყავდეს, გაწაფული ბაირახტარნი მის სვე-ბედის გარდასაწყვეტად. ახალგაზრდობა იმედია მის არსებობის, ახალგაზრდობა საუკეთესო თავდებია მისი სიცოცხლის გასაგრძელებლად, მის უკვდავების. ვინ თუ არა ახალგაზრდობა გადის თამამად ბრძოლის ველზე“? ვინ, თუ არა ახალგაზრდობა სიკვდილ-სიცოცხლის ბაირაღს ატარებს მკერდით? ვინ თუ არა ახალგაზრდობა პირისპირ უდგება სიკვდილის საიდუმლოებას, თავდავიწყებით ჰსვამს მის მიერ გამოწვდილ სუფას და არ დაგიდევსთ, თუ რა ღირსების სასმელია, ნექტარი თუ შხამი-ბალახი! სანუკვარია ახალგაზრდობის აღმაფრენა, სანუკვარია რაინდობა, როდესაც ასე უყოყმანოდ, შიშველი მკერდით ეკვეთება მტრის მოწეულ შუბლს!

სამშობლო კერის სიამაყე ახალგაზრდობაა. სამშობლო კერის სიამეს **ჯანსაღი** ახალგაზრდობის ყოლა შეადგენს. მისი დღეგრძელობა მაზეა დამოკიდებული. მისი სასოება, ყვავილი ახალგაზრდობა მოლაღანე გულ მკერდის ველზე იფურჩქნება. აი, ამიტომაც დიდი სიფრთხილე მმართებს მას, რომ ჭაბუკურმა აღმაფრენამ თავი არ დასძლიოს და იმედები არ გაუცრუოს მშობელ დედას. ოჰ, თქვენ არ იცით, რა მწუხარება ისადგურებს მშობლისგულ-მკერდში, როდესაც შვილი ასცდება გზას!

ახალგაზრდობა ეს ის ხანაა, როდესაც ვარსკვლავებს ვეთამაშებით და გვგონია ერთი ხელის მოსმით მყინვარს ძირიანად წამოვაქცევთ. უზომო თავის წარმოდგენა ზვიადად გვხდის, ვბორგავთ, არ ვიცით, სად დავცალოთ მოჭარბებული ენერგია. ეს კი ღვთიური ცეცხლი გახლავთ, რომელსაც დიდი და დიდი დაზოგვა ეჭირვება, რომ უგნურად კიწა-მაწაზე არ გვეხარჯებოდეს იგი. განა ცოტა რამ არის დიადი და ოცნების წარმტაცი? მას მხოლოდ ცნობა ეჭირვება, ცნობა, და მისთვის განწირვა, ჰაი-ჰაი, რომ კურთხევა იქნება ზეცის!

გატაცება და დაუდგრომელი ბორგვა ეს თავმოსაწონი თვისებაა ჭაბუკი გულის. მაგრამ როდესაც მას გონიერ გზას უჩვენებ, სასარგებლო გასავალს, ამას აღარა სჯობიან რა.

სოციალ-პოლიტიკური საკითხები ახალგაზრდობისთვის ჯერ კიდევ შორეული ხილია. შორეულ გზებით შეუძლიან გამოუცდელ ყრმას ცნობის მოყვარე თვალით უმზიროს მას და მის მოსაწყვეტად მოემზადოს. ახლავე ხელის გაწოდება, ეხლავე საპოლიტიკო დროშის აფრიალება საზიანოა ყრმობისათვის. შეცდომათა ნაკადი, დილეტანტობა და სამწუხარო შედეგები სწორედ ამ უმწიფობის დროს გამოსულ პოლიტიკოსობის ბრალია. აი, ამით აიხსნება, რომ არც ერთს განათლებულ ქვეყანას არ მოვლენია იმდენი ცრუ პოლიტიკოსი, იმდენი ზერელე ჭირისუფალნი, როგორც ჩვენს ქვეყანას. აი, ამიტომაა, რომ არც ერთს განათლებულ ქვეყნის ახალგაზრდობა პოლიტიკოსობას თვით უნივერსიტეტის კედლებშიც კი არ ჩემულობს, როგორც ჩვენში!

უმთავრესი საპოლიტიკო სარბიელი, სადაც ახალგაზრდობის ნორჩი და საუთუთი გრძნობანი უნდა იფურჩქნებოდეს, როგორც ყოველგან, ისე ჩვენში უწინარეს ყოვლისა, **სამშობლო** უნდა იყოს, სამშობლო დედის გული! მისი ცნობა, მისი ალერსი,—აი პირველი მოვალეობა! მისი შემაცნებელი სიყვარული,—აი ყრმის საპოლიტიკო პროგრამის პირველი მუხლი! სამშობლო იარის აღმოჩენა და პირველი შეგნებული მწუხარების ლანდი ნათელ შუბლზე,—აი ის დიადი საპოლიტიკო სახელმძღვანელო, რაც მოწიწებით უნდა გადაიფურცლოს ახალგაზრდას მიერ, როგორც პირველ დაწყებითი სწავლის დროს „დედა-ენის“, „ია“ და „თითი“. ვიდრე ეს ასე არ მოხდება, ვიდრე ამ სიმწიფის მოწმობას არ ჩააბარებს ახალგაზრდობა სამშობლოს, მანამდე მისი ნაადრევი აღმაფრენა, ნაადრევი ენტუზიაზმით დაწაფება უცნობ ნექტრისა, მართალია, მას გააბრუებს, მაგრამ ღმერთმა უწყის, ამ გაბრუების შემდეგ სად წავა და რას გააკეთებს!

ვიცნოთ სამშობლო,—აი უაღრესი მოვალეობა ახალგაზრდობისა, ვინაიდან იგია მხოლოდ უაღრესი საფეხური საკაცობრიო დარბაზი გასავლელად!

აღვიზარდოთ და აღვიმართოდ მისი სიყვარულით! მისი კეთილდღეობა მიზნად დავისახოთ ჭაბუკი გულით და შემდეგ მალე, ძალიან მალე ხელთ ვიპყრობთ სასურველ ჩირაღდანს იმ ჯადოსნურ ხვრელთა შუა გზების გასანებლად, რასაც **პოლიტიკას** უწოდებენ...

დ. კასრაძე.

# ქართული გალობის საკითხი

(დასასრული)

შემდეგ დაისვა საკითხი რა ზომები უნდა იქმნეს მიღებული ქართულ გალობის აღსადგენად ქალაქის სამრევლო ეკლესიებში და საზოგადოდ მთელ ეპარქიაში, თანახმად ამ „ძმობის“ წესდებისა, რომელსაც გათვალისწინებული აქვს ეს დიდი ნაკლი ჩვენი ეკლესიისა.

კამათში მიიღეს მონაწილეობა მთავარ-დიაკონმა ბაკურაძემ, დეკ. დ. იაშვილმა, დეკ. ი. მირიანაშვილმა, დეკ. კ. ცინცაძემ, დეკ. ნ. მაჭავარიანმა, მღ. ვ. კარბელაშვილმა და სხვათა. მოხსენებული იყო პალიატიური ზომები, რომელიც ძირიანად საჭიროებას ვერ ეხებოდნენ. მაგალითად წარმოითქვა აზრი, რომ თბილისის ეკლესიის დიაკვნები დრო და დრო იკრიბებოდნენ, ივარჯიშონ გალობაში და შემდეგ მრევლში გაავრცელონ გალობა და შეჰქმნან პატარ-პატარა გუნდები. ითქვა ისიც რომ ეთხოვოს სასულიერო მთავრობას ეკლესიებში გაიგზავნოს სემინარიელთა პატარა გუნდები რომელნიც იგალობებენ ეკლესიებში. დეკ. **ნ. თალაკვაძის** აზრით ყველა ეს ზომები მნიშვნელობას არ არის მოკლებული, მაგრამ საჭიროა ქართულ გალობის აღსადგენად უფრო არსებითი ზომები. გალობა უნდა ისწავლებოდეს სისტემატიურად, ისე როგორც ეს არის დაყენებული რუსეთის ეკლესიაში. რუსეთში მთელი ერი გალობს დიდი და პატარა, ქალი [illegible] —გალობენ ყველა უწყებაში [illegible] გალობენ ჯარში, სახლში თუ ეკლესიებში და ამიტომ არის განვითარებული და გავრცელებული გალობა. ამ გზით უნდა ეშველოს ჩვენს გალობის საქმესაც. ის უფრო საფუძლიანად უნდა ისწავლებოდეს ჩვენს სასულიერო სასწავლებლებში, ვიდრე დღეს. ქართული გალობა უნდა უფრო საფუძვლიანად ისწავლებოდეს ქართულ გიმნაზიებში თბილისში თუ ქუთაისში, ქართულ საქალებო სასწავლებლებში, იქ უნდა მოიწყონ ეკლესია, გაჩაღდეს ქართული წირვა-ლოცვა და გალობდენ ადგილობრივი ძალები. მაგალითად ქალაქის ქართულ გიმნაზიაში 800 მოწაფე სწავლობს და საკუთარი ქართული გუნდიც არა ჰყავთ. ასევეა ქ. ქუთაისშიც. ვის რა ხმა ამოგვეღება ამის შემდეგ?!. გალობა უნდა გაჩაღდეს სოფლად სამრევლო და სამინისტრო სკოლებში და მოწაფეებიდან უნდა შესდგეს გუნდნი ადგილობრივ ეკლესიებში საგალობელად. დღეს კი ამ სკოლების ხელმძღვანელნი არ ასწავლიან თავიანთ მოწაფეებს არც საერო და არც საეკლესიო გალობას და ამ სახით გადაგვარების გზაზე მიჰყავთ მთელი ახალი თაობა.

უნდა ქართულ გალობას გაუკაფოთ გზა ქართველ ერის ცხოვრებაში, უნდა ვეცადნეთ მთელმა ქართველმა ერმა იგალობოს და ამისათვის საჭიროა ნოტების შესწავლა, ამ ნოტებზე ჩვენი ძველი ქართულ მარტივ კილოს გადაღება, საჭიროა დაიწეროს ის მარგალიტი საგალობლები, რომელთა მშვენება ატყვევებს ადამიანის სმენას და რომელთათვისაც ჩვენს თანამედროვე კომპოზიტორებს ზურგი შეუქცევიათ და მათ ნაცვლად რაღაცები შეუთხზავთ და ულაზათოდ გაჰკივიან. ჯერ ეკლესიებში გალობა ვერ დაგვიყენებია როგორიც რიგია და ჩვენი კომპოზიტორები კი ოპერებსა და ოპერეტკებს სდგამენ ქართულად. ეს იმასა ჰგავს, რომ ადამიანს შალვარი არ ეცვას და ზევით კი ფრაკში იყვეს გამოწყობილი. ეს სასაცილოა, მეტი რომ არა ვსთქვათ. ეს გზა მიმაჩნია რადიკალურ ზომად ქართულ გალობის აღსადგენად, დასაცავად და ერში გასავრცელებლად. ამ გზას კი სამღვდელოება მარტო ვერ განვლის, თუ მთელმა ერმა არ მიიღო ორგანიული მონაწილეობა მუშაობაში. მარტო მღვდლებს არ ძალგვიძს ამ დიად საქმის გამობრუნება. დღეს-დღეობით საჭიროდ მიმაჩნია აღდგენილ იქმნას ქართველ მგალობელთა გუნდი იმ სახით, როგორც ეს არსებობდა ყოვლად სამღვდელო ლეონიდისა და კირიონის დროს, მაგალითად განსვენებულ ნ. თ. ბერიშვილისა და შემდეგ ალ. კავსაძის ლოტბარობით. ამ გუნდის შესანახი ფული უნდა გამოიღოს ადგილობრივმა ეკლესიებმა, შემწეობა უნდა მოგვცეს სანთლის ქარხანამ და ეთხოვოს საქართველოს ექსარხოსს აღმოგვიჩინოს წყარო ქართულ საეკლესიო ხაზინიდან, საიდანაც არქიელის სლავიანურ გუნდს წლიურად 5000 მანეთი ეძლევა.

კრებას მოეწონა მ. თალაკვაძის აზრი და ცალკე კომისია აირჩია ამ საკითხის შესამუშავებლად.

დამსწრე.

# პროვინციის კრონიკა

**ქ უ თ ა ი ს ი.**

თბილისში სასურსათო საკითხის თათბირზე ქუთაისიდან გამოიგზავნა ორი წარმომადგენელი.

— ქუთაისის ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებამ უკვე მიიღო 20 ვაგონი ხორბლეულობა ჩრდილო კავკასიიდან. ხორბლეულობა გაიგზავნება მეტად დამშეულ დაბა სოფლებისაკენ და ეღირება ფუთი 1 მანეთით მეტი.

— 13 გიორგობისთვეს ქუთაისის თეატრში წარმოადგენენ „ღალატს“.

— ქუთაისში მესხეთის ქუჩაზე ამ მოკლე ხანში გაიხსნება ვაჟა-ფშაველას სახელობის სამკითხველო, რომლის წესდება უკვე დაამტკიცა ადგილობრივმა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებამ.

— ქუთაისის საგუბერნიო აგრონომებს გადაუწყვეტიათ 1 იანვრიდან დ. ზუგდიდში გახსნან მეექვსე სააგრანომიო პუნქტი.

— ქ. შ. წ. კ. კ. გ. საზოგადოების ქუთათურ განყოფილების კრებაზე დაადგინეს გამგეობის წევრებმა გრ. გიორგაძემ, ბ. მოსეშვილმა, სილ. ხუნდაძემ, სვიმ. ყიფიანმა და დოლაბერიძემ 25 ამ თვემდე რევიზია უყონ განყოფილების ყველა სამკითხველოს.

**თ ე ლ ა ვ ი.**

ამ მოკლე მომავალში მოხდება წ. კ. საზ. თელავის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება.

— თელავში ღვინის ფასი თანდათან იწევს საპალნე 350—400 მან. იყიდება. მალე შოვნაც აღარ იქნება.

— თელავის ქალაქის გამგეობა ამ ჟამად გიორგობისთვის საზრდო ფულს უგროვებს ომში წასულ ჯარისკაცთა ცოლშვილს.

ძველი-გავაზი 10 გიორგ. წმ. გიორგობას ამ სოფლის თავში წმ. გიორგის ეკლესია დღესასწაულობს და დიდძალი მლოცავი მოდის ხოლმე ყოველ მხრიდან.

**სოფ. ფიჩხის ჯვარი** (გურია).

სოფ. ფიჩხის ჯვარში აპირებენ ორ კლასიან სკოლის დაარსებას.

— აქ უკვე გახსნეს კოოპერატიული დუქანი, რომელმაც ხალხს თვალსაჩინო სარგებლობა მოუტანა.

**სოფ. ბჟონევი** (ზემო იმერეთი).

ადგილობრივმა მცხოვრებმა არჩ. გასხამურდიშვილმა კეტით მოკლა თავის მეზობელი ირ. მოდებაძე. მოდებაძეს ურმით გადაევლო არჩ. გასხამურდიშვილის ეზოზე.

**ქალ. ოზურგეთი.**

27 ღვინობისთვეს აქ გაიმართა **ილიას საღამო**, რამაც საუცხოვოდ ჩაიარა.

— ამ მოკლე ხანში ჰსურთ მოაწყონ ლიტერატურული საღამო, აკაკის ხსოვნის აღსანიშნავად.

**სოფ. მლეთი.**

მლეთის სკოლის შენობა მეტად დაძველებულია და ლამის არის პატარა მოსწავლეთ თავზე ჩამოექცეს. სიძვირე მლეთისკენაც დიდია საჟენი შეშა 50 მანეთს ფასობს, რომელიც წინად 25—30 მანეთი ღირდა.

— მთიულებს წელს ქერი ნაკლებად მოუვიდათ, შეძლებულები ეხლავე იკვეთენ ხორბალს კავკავში. მლეთის ვაჭრები კარაქს ადგილობრივ ყიდულობენ 30 კაპ. მხოლოდ თავის საქონელს ცეცხლს უკიდებენ.

— მლეთელებმა უკვე აღძრეს საკითხი საკოოპერატიო დუქნის დასაარსებლად.

**სოფ. საგურამო.**

ადგილობრივი ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების სკოლა დაათვალიერა სკოლების ინსპექტორმა გ. ბურჭულაძემ.

**სოფ. გურჯაანი.** (კახეთი).

როგორც იყო ვეღირსეთ ფქვილის მიღებას, ჩრდილო კავკასიიდან მივიღეთ ექვსი ვაგონი ფქვილი. ფქვილს უკვე არიგებენ. აქეთ ამ ჟამად ბევრი სირაჯი მოვიდა, სცდილობენ ღვინის ფასი დასწიონ.

— 7 გიორგობისთვეს შეიპყრეს ცნობილი ყაჩაღი გიგა ზურაბიშვილი, რომელიც ახლო-მახლო სოფლებში დათარეშობდა.

გურჯაანის ბოქაულად დაინიშნა იოს. ნაცვლიშვილი.

**ს ო ხ უ მ ი.**

ქალაქში საუცხოვო ამინდებია, ზღვა წყნარია. ავადმყოფთათვის უმჯობესია ახალსენაკით ან ზუგდიდით მგზავრობა.

— ადგილობრივ კოოპერაციის საქმე გვარიანად მიდის. მდაბიო ხალხმა უკვე შეიგნო მისი მნიშვნელობა.

**ჩ ო ხ ა ტ ა უ რ ი.**

უმაღლეს პირველ დაწყებითი სკოლაში ქართულის მასწავლებლად არჩეული ა. ცინცაძე დირექციამ არ დაამტკიცა. მიზეზად ის დაუსახელებია, რომ ჯერ ქართულ ენის სწავლების უფლება მიიღეთო.

**ბ ა ქ ო.**

**ნავთის მრეწველთა თათბირი.**

მეფის ნაცვლის ნებართვით ამ მოკლე ხანში ბაქოში მოხდება ბაქოს გუბერნიის ნავთის მრეწველთა მე-34 თათბირი. ყრილობის თავმჯდომარეთ აირჩიეს სამთო ინჟენერი ნ. ნ. ჟაკი.

# სოფლის ვითარება

II

პირველ წერილში ვსთქვი: დღეს სოფლებისთვის პირველ რიგის საკითხად სათესლე უნდა ჩაითვალოს მეთქი. საიდან შევიძლიან ჩვენ ხეირიან სათესლის შემოტანა, ჯერ არ გამოგვირკვევია. დღეს დამშეული საქართველო საკვების მხრივ მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიას შეჰყურებს.

დღიურ საკვებს რა უშავს, საიდანაც უნდა იქმნას იგი შემოტანილი სულ ერთია, მაგრამ სულ სხვაა სათესლე.

ადვილად შესაძლებელია ჩრდილო კავკასიიდან შემოტანილი სათესლე სრულიად უვარგისი გამოდგეს ჩვენი ქვეყნის მიწებისთვის. საჭიროა დღესვე თვით საქართველოს სოფლებში შეგროვდეს ხეირიანი საიმედო სათესლე, რომლის დათმობა ხალხს იმ შემთხვევაში შეუძლიან, თუ მათ სამაგიერო საკვებს მივაწვდით.

მეორე რიგის საკითხებად უნდა აღვნიშნოთ მეღვინეობა-მევენახეობა და მის ბედიღბლის გამორკვევა.

ეს ერთი ხანია ჩვენი სამშობლოს თითქმის ყველა კუთხის ვენახები სისტემატიურად ფუჭდება და ოხრდება.

რასაკვირველია, ამ მოვლენას ყურადღება უკვე მიექცა, მაგრამ ჯერ პრაქტიკულად ნაბიჯი არ გადადგმულა.

შარშან ღვინის მოსავალს იმერეთში და საზოგადოდ მთელ საქართველოში საჭირო გოგირდ-შაბიამნის უქონლობამ უფრო ბევრი ავნო, ვიდრე განრისხებულმა ბუნებამ.

და დღეს, როცა ღვინოს საარაკო ფასი დაედო, ჩვენ გულდაწყვეტილები ვჩიოდით: წელს ღვინო არ მოგვივაო.

იმერეთში წელს პირველ ხანებში აბრეშუმის პარკის ფასი უმნიშვნელო იყო (ფუთი 18—20 მან.) მხოლოდ ეხლა კი გამხმარი პარკის ღირებულება 60—70 მან. აღწევს.

რამდენს ისარგებლებდა ჩვენი წელში გატეხილი სოფლელი, რომ დღემდის მას პარკი შეენახა? მაგრამ სოფლელს პარკის შენახვა არ შეუძლიან, რადგან კარს ათასგვარი მოთხოვნილება-გაჭირვება მოსდგომია, რომლის ოდნავ შემსუბუქებას პარკის ფასიც იშორებს.

ეს საქმე თავის დროზე წვრილ კრედიტის და სხვა ხალხის გულშემატკივარ დაწესებულებას უნდა ეკისრნა. რა გვარად? წვრილ კრედიტის, თუ სხვა დაწესებულებას შეეძლო: სოფლელებისთვის ფული წინდაწინვე, მიეცათ, პარკი ჩამოერთმიათ და როცა მისი ნამდვილი მაზანდა დადგებოდა მაშინ გაეყიდათ, იქნებ სთქვან: როგორც ხალხმა ისე ხსენებულ დაწესებულებათაც არაფერი უწყოდნენ პარკის ფასის ასეთ მოსალოდნელობაზე, მაგრამ როგორ შეიძლება! სხვა არა იყოს რა ეს ხომ ყველამ იცის, რომ წელს აბრეშუმის მოსავლის ერთ ერთი თვალსაჩინო ქვეყანა ოსმალეთი ომშია ჩაბმული და ის ქვეყნები, რომელნიც ოსმალეთის აბრეშუმს ეზიდებოდნენ, დღეს იძულებულნი არიან სხვა გზა მოსძებნონ. მეორე კიდევ გაზეთები და სხვა კერძო ცნობები უკვე ივნისის თვეში გვაუწყებდნენ: აბრეშუმის პარკს დიდი ფასი ექნებაო! მაშასადამე ჩვენში ყველას შეეძლო გაეგო პარკის მოსალოდნელი ფასი, მაგრამ ასეთ ჩვენებურ „დიდ“ საქმის მოთავეობა-ხელმძღვანელობას ვინ იკისრებდა იმ დროს, როცა იმერეთის ბაზრებზე უბრალო პარკის აწონვის საქმეც ვერ მოგვიწესრიგებია და ჩარჩები ყოველ წლივ ხალხს [illegible] დან სტაცებენ. შარშან იმერეთში შემოტანილი აბრეშუმის თესლი არ იყო სავსებით კარგი ღირსების; პარკის ჭია ბევრ მოსახლეს დაეხოცა და ტყუილად შრომა გასწყა.

ამასთანავე შარშან კიდევ ბევრმა მოსახლემ მეაბრეშუმეობაზე ხელი აიღო იმ მოსაზრებით, რომ ომიანობის გამო აბრეშუმის პარკს გასავალი არ ექნებაო.

რასაკვირველია, ეს შეცდომა მცხოვრებს მოუვიდათ მრჩეველ-ხელმძღვანელის მეოხებით.

უნდა ვეცადნეთ, წელს გაზაფხულზე იმერეთის ბაზრებიდან განდევნილ იქმნან იმ ყალბ ფირმის წარმომადგენელნი, რომელნიც ყოველ წელს ესტუმრებიან ხოლმე იმერეთს და სოფლელებს უვარგის თესლს აწვდიან.

სოფლელებს წინდაწინვე რჩევა და დარიგება უნდა მიეცეს, თუ რომელი ფირმის თესლი უფრო ივარგებს, ან რა ფასები ექნება პარკს და სხვა.

*ირი.*

# დაბა-სოფლები

**დ. ხაშურის** (მიხაილოვი) კოოპერატიულ ამხანაგობის საერთო კრება.

წარსულ კვირას გაიმართა კრება ხაშურის კოოპერატიულ ამხანაგობისა. წამოყენებული იყო სამი საკითხი: 1) რა გააკეთა კოოპერატიულმა ამხანაგობამ დღემდე და რა სურს გააკეთოს მომავალში, 2) მიეცეს თუ არა ნება კოოპერატიულ ამხ. გამგეობას 3,000 მანეთის სესხისა საქმის გასაფართოებლად, 3) რამდენი პაის ნება აქვს თვითეულ წევრს.

გამგეობის წევრმა ბ-ნ ნიკიფორე იმინეიშვილმა წაიკითხა მოხსენება კოოპერატ. ამხანაგობის მოქმედებაზე. ამხანაგობას, ბ-ნ იმინეიშვილის სიტყვით, ძალიან მარჯვედ უმუშავნია და ამ ცოტა ხანში ბევრი რამე გაუკეთებია: ამხანაგობას ჰყავს თითქმის ორას წევრამდე, ამ მოკლე ხანში დაუკვეთნია ერთი ვაგონი ფქვილი, ერთი ვაგონი კარტოფილი, აუშენებია საკუთარი ფურნე, დუქანი და სხვა. ფქვილის ყიდვაში, ვაგონების შოვნაში, დუქნის შეძენაში პირდაპირ ჯვარცმის წუთები განუცდია, მაგრამ საქმე მაინც ბოლომდის მიუყვანია.

შემდეგ წამოაყენეს მეორე საკითხი: მიეცეს თუ არა გამგეობას 3000 მან. სესხად. კრებამ ერთხმად გადასწყვიტა, მიეცეს ნება სესხისა, მით უმეტეს რომ ამ მოკლე ხანში მცირე თანხით ამოდენა საქმე გააკეთა ამხანაგობამ. შემდეგ გადასწყვიტეს, თვითეულ წევრს ნება ჰქონდეს არა უმეტეს ხუთი პაის შეძენისა.

როგორც ამ კრებაზედ გამოჩნდა, ამხანაგობა ძალიან ნაყოფიერად მუშაობს და სათავეშიც სწორედ შესაფერი მოთავენი უდგანან. წევრებიც ძალიან გულმხურვალედ ეპყრობიან ამ მეტად საპატიო საქმეს. ვუსურვებთ კოოპერატიულ ამხანაგობას მეტ ენერგიას, სიფხიზლეს და საქმის კარგად წაყვანას. სასიამოვნოა, რომ ხალხი ბოლოს და ბოლოს თანდათან ჰხვდება თავის სასიკეთო რა არის, ჰხვდება კოოპერატივის დიდ მნიშვნელობას და სიკეთეს ჩვენი სამშობლო ქვეყნისათვის.

*მილოზი.*

# მარქსისტების და ნაროდნიკების შეერთება

საზღვარ გარედ ომის დროს მომწყვდეულ მარქსისტებს და ნაროდნიკებს დაარსებული ჰქონდათ ჟურნალ-გაზეთები. მარქსისტებისა, პლეხანოვის ხელმძღვანელობით, გამოდიოდა კრებული „ვოინა“, ხოლო ალექსინსკის ხელმძღვანელობით „რუსეთი და თავისუფლება“. ნაროდნიკებს ჰქონდათ „ზარუბეჟომ“ და გაზ. „ნოვოსტი“.

ბოლოს შვეიცარიაში მარქსისტებსა და ნაროდნიკებს კონფერენცია ჰქონდათ და გადასწყვიტეს გამოეცათ საერთო „პრიზივ“ (მოწოდება) პირველი ნომრები „პრიზივისა“ გამოდის ალექსინსკის, არგუნოვის, ვორონოვის, პლეხანოვის, ბუნაკოვის, ლ ლიუბიმოვის რედაქტორობით. თანამშრომლობდნენ: დეიჩი, აქსელროდი, ბახი, ონიპკო, მეორე სათათბიროს წევრი ბელოუსოვი და სხ. ამ ორგანოს მიზანია, მოუწოდოს ყველას, რომ საერთო მტრის გერმანიის წინააღმდეგ იარაღით გავიდეს საბრძოლველად, რადგანაც გერმანიის გამარჯვება საყოველთაო თავისუფლების განადგურებას უდრისო.

(რეჩ.)

# გაბრიელ დ'ანუნციო ყუმბარის მსროლელის როლში

იტალიის ცნობილმა მწერალმა გაბრიელ დ'ანუნციომ შემდეგი უამბო გაზეთ „Temps“-ის კორესპონდენტს, თუ 7 აგვისტოს როგორ გაფრინდა ტრიესტის თავზე: „ნამდვილი მღელვარება მხოლოდ დაბრუნების შემდეგ გამოვცადე,—სთქვა დ'ანუნციომ: სულ რვა ყუმბარა მივქონდა. განზრახვა გვქონდა სამხედრო გემებისთვის დაგვეშინა, ანუ ტრიესტის ციხე-კოშკისთვის. პირველი შვიდი ყუმბარა მარჯვედ ვისროლეთ დანიშნულებისაებრ, მერვე კი ვეღარასგზით ვერ მოვახერხეთ გადაგვეგდო. მექანიზმი არ მუშაობდა. ერთი სიტყვით, ვეღარას ვხედავდით. მდგომარეობა ფრიად კრიტიკული გახდა-ავსტრიელთა ჰიდროპლანები გამოგვეკიდნენ და ჩვენ მოვკურცხლეთ ვენეციისკენ. ოდნავი შემთხვევა იყო საჭირო, რომ ჩვენი ყუმბარა აფეთქებულიყო და ჩვენვე დავეღუპნეთ. თანდათანობით მდგომარეობა უარესდებოდა. ვუახლოვდებოდით ვენეციას და ორმაგი შიშიც ზარსა გვცემდა: ან მტრის ჰაეროპლანი გაჰკრავს ფრთას და აფეთქდება, ან და შესაძლოა ჩვენი ქალაქის თავზე მოსწყდეს და ჩვენვე დაგვაშავოს მეთქი. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა: ვენეციის მოტრფიალე, მისი მომღერალი, მისით აღტაცებული უნდა მკვლელი გავხდარიყავი თუნდა მისი სრულიად უწლოვანი შვილისა არასოდეს სიცოცხლეში ასეთი შიში არ მიგრძვნია. როდის—როდის მოველით დანიშნულს ადგილზე! ხალხი ოვაციით მეგებებოდა და ოდნავაც არ წარმოედგინა, თუ როგორ ახლოს ვიყავი ვენეციის გამანადგურებელთა სიაში ჩავწერილიო“...

# რუსეთი

**პეტროგრადი.**

ინგლისური გირვანქა სტერლინგი 14 მან. $37^1/_2$ კაპეიკად ფასობს, ფრანგული ფრანკი, რომელიც $37^1/_2$ უდრიდა, ეხლა 51—65 კაპეიკად გადის, შვეციის კრონი 83—70 კ.

**რუსეთის დავალიანება.**

1915 წლის 1 იანვრისათვის რუსეთის ვალი თითქმის 10 ნახ. მილიარდ მანეთს უდრიდა. ომის დაწყების აქეთ კიდევ აუღიათ თითქმის 8 ნახ. მილიარდი მანეთი. ამას უნდა მიემატოს უკანასკნელ დროს ინგლისში აღებული 4 მილიარდის ვალი. 1916 წ. 1 იანვრამდე რუსეთის სახელმწიფო ვალი თითქმის 20 მილიარდ მანეთს აღწევს.

**სასულიერო აკადემიაში.**

პეტროგრადის სასულიერო აკადემიაში მეცადინეობა განახლდა. რადგანაც აკადემიის შენობაში ლაზარეთებია მოთავსებული, მხოლოდ 125 სტუდენტი იმეცადინებს.

**წითელ ჯვრის საზოგადოება.**

რუსეთის ქალაქების კავშირის იურიდიულმა განყოფილებამ განიხილა საკითხი და დაადასტურა: „წითელ ჯვრის“ საზ. და სხვა სათანადო დაწესებულებას უფლება აქვს სამხედრო უწყებასა და ადმინისტრაციასთან შეთანხმებით კერძო მესაკუთრეს ლაზარეთისათვის ჩამოართვას სახლი, გადაწყვეტილის ქირით.

**დაჯარიმება.**

მოსკოვში ქრისტოფოროვის ამხ. რწმუნებული შაუნიანცი, საწყობიდან ღვინის გაყიდვისათვის სამასი თუმნით დააჯარიმეს.

# უცხოეთი

**ამერიკა.**

გერმანელები არც შეერთებულ შტატებში მსხდარან გულხელდაკრეფილი. გერმანელებს შტატებში სააგიტაციო საქმის მოსაწყობად 8 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუხარჯავთ,—სწერს „ტაიმსი“.

ამ ცოტა ხანში ამერიკაში კონგრესია მოწვეული. გერმანელი ამერიკელები მარჯვედ დატრიალდნენ; კონგრესის განსახილველ საკითხთა სიაში შეტანილია საკითხი: შეერთებულ შტატებიდან კანონით აიკრძალოს სამხედრო მასალის გატანა, ეს მასალები ეხლა მოკავშირეებს ეგზავნებათ.

შტატებში სლავიანების ბევრი საზოგადოებანია. ერთმა ასეთმა საზოგადოებამ (Hrvatska Saidnica), რომელსაც 50 ათასი წევრი ჰყავს, დაადგინა არც ერთმა მისმა წევრმა სამხედრო მასალის დამმზადებელ ქარხანაში არ იმუშაოს. ესეც ავსტრიელ-გერმანელების გავლენაა.

ნიუიორკში გერმანელებს სურსათ-სანოვაგის გამომგზავნელი ორგანიზაცია აქვთ მოწყობილი. სანოვაგეს პატარ-პატარა საფოსტო ამანათებად ჰგზავნიან თურმე. ასეთი ამანათები დღეში ათი-ათასობით იგზავნება.

**ჩინეთი.**

იუანშიკაის ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტობა მოსწყინდა და ახლა იმპერატორობა მოისურვა.

ამის გამო ინგლისის, რუსეთის, საფრანგეთის და იაპონიის დესპანებმა პეკინში ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ინახულეს და გარკვეული პასუხი მოსთხოვეს.

მინისტრმა განუცხადა: პეკინის მთავრობას განზრახვა არა ჰქონია მონარქიის აღდგენის დაშურებისა, მაგრამ ჩინეთის ხალხს რომ დავეკითხოთ მან კონსტიტუციური მონარქია ამჯობინა. ამის და მიუხედავად ჩინეთის მთავრობა მაინც არა ჩქარობს და მმართველობაში ცვლილების მოსახდენად უფრო უკეთეს დროს შეურჩევსო.

**იაპონია**

**მიკადოს დაგვირგვინება.** იაპონიაში იმპერატორთა დაგვირგვინება დიდის ზეიმით იციან, უძველეს დროიდან დარჩენილ ადათ-ჩვეულების მიხედვით, ყველაზე საგულისხმოა ეხლანდელი მიკადოს დაგვირგვინება და განსაკუთრებით მისი „მსხვერპლის შეწირვა“, რომელსაც გაზეთები ასე აგვიწერენ: როდესაც ბინდბუნდი თხელი ლეჩაქივით გადაეფარა დედამიწას და ბუროსში გაჰხვია ორ წყებად ჩარიგებული ფიცრული შენობები და ხეები, სადაც მიკადოს მსხვერპლი უნდა შეეწირა, აქა-იქ ცეცხლი დაანთეს. მათ მუხლშეკეცილი დარაჯები მიუსხდნენ, უძრავად. მთელ ღამეს ცეცხლი გიზგიზებდა და ისინიც უმარჯვებდნენ სუნნელოვან მწვანე ფოთლებს და ხეების ტოტებს, ლოცვის დროს მოჰრილს. ცეცხლის ალზე მოსჩანდა იქ მყოფი იმპერიის უმაღლესი პირნი, ძველებურ ტანისამოსით.

ტაძრიდან ისმოდა ხმა ლერწმის საკრავებისა, რომელსაც შინტოს სარწმუნოების ქურუმნი უკრავენ ხოლმე. ეს ქურუმები, უსიტყვოდ, საკრავთა მინაზებულ მუსიკით მეტყველებენ წარსულ საუკუნეთა მედიდურ ამბავს, რომელმაც იაპონია დღევანდელ გაფურჩქნამდე მიიყვანა.

ცალკე შენობაში იმპერატორმა ხმლებით შესრულა სიმბოლიური ადათი განწმენდისა. შემდეგ ჩააცვეს თეთრი ქარქარა სამოსელი ძვირფასი აბრეშუმისა, წინ ანთებულ მაშხალებით გამოუძღვნენ სამსხვერპლო ტაძრამდე მიაცილეს. გზა და გზა ლერწმის ჰილობებს უფენდნენ.

იმპერატორი გამზადებულ მაგიდას მიუჯდა. ქურუმებს კიდობნებით შემოჰქონდათ გარდასულ სულთათვის ხილი და სამსხვერპლოს წინ ჩალის ჰილობებზე სდგამდნენ. მაგიდაზე იდგა წნეიანი, მწვანილეული, ჩანგლის მაგიერ ხის ჩხირები, დანები, ხელსაწმენდი. უმთავრესი შესაწირავი—ბრინჯის ნამცხვარი და ბრინჯის ღვინო. ეს ღვინო მზადდება 12 უმანკო ქალწულის ხელით დათესილ და უბიწო ასულთა ხელით დარეგვილი ბრინჯისაგან. იგი განწმენდილია ბოროტი სულისაგან ქურუმების შელოცვით.

დაბანის შემდეგ, მიკადო ტაძრის სიღრმეში შებრძანდა და ღმერთებთან და წინაპრებთან ერთად გაინაწილა ტრაპეზი. [illegible] იმპერატორი [illegible] მარტოდ-მარტო იყო. იგი როგორც საპოლიტიკო, ისე სასულიერო მოძღვარია ხალხისა და მომაკვდავის თვალმა არ უნდა იხილოს თუ როგორ იზიარებს იმპერატორი ტრაპეზს წინაპართა სულებთან და ღმერთებთან.

ამ ადათის შესრულების შემდეგ იმპერატორმა კვლავ დაიბანა. შესაწირავები აალაგეს. მსხვერპლის შეწირვა მეორე დარბაზში განმეორდა.

გარედ მთელ ღამეს ცეცხლი გიზგიზებდა, მოკრუნჩხული დარაჯები ცეცხლს უმარჯვებდნენ. სალამურთა ნაზი კვნესა ისმოდა დარბაზიდან, სადაც ახალგაზდა იმპერატორი, ამ ღამეს განმარტოებით აღავლენდა ლოცვას იაპონიის პირველ მპყრობელებისას.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი**

**გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.**

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers

აქ დაწერეთ ლაგერის ადრესი.

Liebesgaben für die
russischen Kriegsgefangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ** შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la Rouge.
Agence des prisonniers de guerre Genéve.

# ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისში მოდის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან. | 12 ს. 54 წ. დღ. |
| № 4 | ბათომიდან. | 5 ს. 55 წ. საღ. |
| № 5 | ბაქოდან(სწრ.) | 7 ს. 41 წ. საღ. |
| № 10 | ბათომიდან. | 9 ს. 51 წ. დილ. |
| | ჯულფიდან | 6 ს. 53 წ. დილ. |
| | ბორჯომიდან | 7 ს. 25 წ. დილ. |
| | „ საგ. | 10 ს. 28 წ. საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ | 1 ს. 45 წ. დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ | 7 ს. 3 წ. საღ. |
| № 6 | ბაქოს(სწრ.) | 12 ს. 8 წ. დღ. |
| № 9 | ბათომისკენ. | 8 ს. 53 წ. საღ. |
| | ჯულფისკენ | 10 ს. 23 წ. საღ. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ. დღ. |

# კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს**

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| თელავისა ღ წნორისკენ დილ. | 8 ს. 58 წ. |
| გურჯაანში მიდის ნაშუადღ. | 3 ს. 53 წ. |
| გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის | 4 ს. 53 წ. |
| თელავში მიდის ნაშუადღევ. | 5 ს. 35 წ. |
| გურჯაანიდან წნორზე მიდის | 4 ს. 18 წ. |
| წნორზე მიდის . . . . | 5 ს. 15 წ. |

**თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:**

| | |
|---|---|
| დილის . . . . . . | 8 ს. 58 წ. |
| გურჯაანში მოდის. . . | 10 ს. 26 წ. |
| წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის. . | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანში მიდის . . . | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის | 10 ს. 46 წ. |
| თბილისში ჩამოდის 5 საათზე. | |

**წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა**

**„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).**

**ი. დ. კ ი კ ნ ა ძ ი ს ა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

**„განათლება“**

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბეგლარ ახოსპირელისა **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

აგენტებივალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

**კანტორის ადრესი:** Ольгинская 6.

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. ძეზველოვები**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.



სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.